პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 25 აპრილი, 1950 წ. № 85 (8645). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მუშაობაში ინიციატივისა და საქმიანობისათვის!—„პრავდის“ 24/IV მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
გ. სიხარულიძე—პირველი ბოლშევიკური ყრილობა (მე-2 გვერდი).
სამგორის სახალხო მშენებლობაზე (მე-3 გვერდი).
მ. აროშიძე — სტახანოვური ბრიგადებიდან სტახანოვურ საამქრომდე (მე-3 გვერდი).
პრესის მიმოხილვის მაგიერ (მე-3 გვერდი).
ა. მარჯანიშვილი — თბილისის მიდამოები ტყეებით დაიფარება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მუშაობაში ინიციატივისა და საქმიანობისათვის!

სოლ ყოველი წამოწყება განწირულია ჩასაშლელად, ვერ იქნება მიყვანილი ბოლომდე, რომელიც, როგორც ხალხური ანდაზა ამბობს, ხაქლმეს აგვირგვინებს.

ფაქტები კი ცხადყოფენ, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანოს მუშაობაში კიდევ არის დაცილება რეზოლუციებსა და მათს შესრულებას შორის, რის შედეგადაც კარგი წამოწყება ხშირად ბოლომდე არ მიჰყავთ, შუა გზაზე სტოვებენ.

ქარხანა „ზაპოროჟსტალში“ შემოიღეს გამჭოლი გრაფიკი, რომელიც მიზნად ისახავდა მო-

...უშლის ჩვენს წარმატებით წინსვლას. მხოლოდ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში იზრდებიან ნამდვილი ბოლშევიკური კადრები, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში იჩენენ შემოქმედებითს ინიციატივას, საქმიანობასა და სიბეჯითეს დასახული მიზნის მიღწევაში. ჩვენი კადრებისათვის ამ ბოლშევიკურ თვისებათა ჩანერგვა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

კომუნისტური მშენებლობის ყოველდღიურ მუშაობაში ინიციატივისა და საქმიანობისათვის!

„პრავდის“ 24/IV მოწინავე

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი თათრულ ენაზე

ყაზანი, 17 აპრილი. (საკდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ განთავისუფლებულმა თათარმა ხალხმა მიიღო საშუალება, რომ დედაენაზე იკითხოს მშრომელთა დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი. ამჟამად ძნელად იპოვის კაცი თათრულ სოფელს, რომ იქ ლენინისა და სტალინის წიგნები არ იყოს.

1919 წელს ყაზანში გამოვიდა თათრულ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის ნაშრომი „სოციალიზმი და ომი“. სულ კი თათრეთში საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოვიდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა 157 გამოცემა 1 მილიონ 259 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. მასობრივი ტირაჟით გამოვიდა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეული და ისეთი ნაშრომები რო-

ნი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ და სხვები. შარშან თათრულ ენაზე გამოიცა ვ. ი. ლენინის კაპიტალური ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

ლენინის ბევრი ნაწარმოები, მაგალითად „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“ და სხვები გამოცემულია 3-7-ჯერ.

წელს თათრეთის სახელმწიფო გამომცემლობა გამოუშვებს ვ. ი. ლენინის ნაშრომებს: „კარლ მარქსი“, „ფრიდრიხ ენგელსი“, „წერილები შორიდან“, „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“, „მოხსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ“ და სხვ.

ს ა ბ ჭ ო თ ა   კ ა ვ შ ი რ შ ი

საბჭოთა აზერბაიჯანის XXX წლისთავის წინ

ბაქო. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXX წლისთავისა და მუშათა საერთაშორისო დღესასწაულის — 1 მაისის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნავთის მრეწველობის მოწინავე სტახანოველთა შორის დიდად ისახელა თავი კაგანოვიჩნეფტის ტრესტის ბურღვის კანტორის იმ ბრიგადამ, რომელსაც ბურღვის ოსტატი ქუქური ვაჩაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებმა ვ. კერტაშვილმა, ა. მათიაშვილმა და რ. ბანეთაშვილმა მათთვის მინდობილი № 177 ჭაბურღილის ამოღების გეგმა ვადამდე 20 დღით ადრე შეასრულეს და შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები 28 აპრილის ნაცვლად 18 აპრილისათვის გაანაღდეს.

ქ. ვაჩაძის ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის დღიდან 18 აპრილამდე, ე. ი. ერთ თვესა და 3 დღეში გასწია 56.000 მანეთის ეკონომია, დიდი რაოდენობით დაზოგა მასალები და ელექტროენერგია. ამ წარმატებას ბრიგადამ მიაღწია ბურღვის ჩქაროსნული მეთოდების დაუფლების შედეგად. მოპოვებულ წარმატებათათვის ბრიგადამ მიიღო ფულადი პრემია — 46.000 მანეთი.

* * *

25 აპრილს ქალაქ ბაქოში იწყება ხალხური თვითმოქმედების ოლიმპიადა, მიძღვნილი აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXX წლისთავისადმი.

ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ ხალხური თვითმოქმედების დრამატული, სიმღერისა და ცეკვის, სამხატვრო და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დამკვრელთა წრეები და ანსამბლები.

ოლიმპიადა ერთ კვირას გასტანს.

* * *

ბაქოელმა ნორჩმა ნატურალისტებმა გადაწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავი აღნიშნონ თავიანთი დედაქალაქისათვის მწვანე ნარგავთა ახალი მასივის შემატებით. დასასვენებელ დღეებში მოსწავლე ნორჩი ნატურალისტები მათთვის მიჩენილ უბნებში რგავდნენ მცენარეებს. 19 აპრილს შედგა მათი საერთო-საქალაქო შეკრება, რომელზეც ნორჩმა ნატურალისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

შეკრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს 28 აპრილისათვის — აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-

...ქალაქის უბნების გამწვანებაში, დაჯილდოებულ იქნა მშრომელთა დეპუტატების ბაქოს საქალაქო საბჭოს სიგელებით.

28 მილიონერი კოლმეურნეობა რაიონში

კურგან-ტიუბე. 1948 წელს რაიონში ირიცხებოდა 9 კოლმეურნეობა, რომელთაც წლიური შემოსავალი მიიღეს მილიონ მანეთზე მეტი. გასულ წელს კოლმეურნეობებმა მოიწიეს ბამბის მაღალი მოსავალი. მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი რაიონში ერთისამად გაიზარდა. ახლა რაიონში არის 28 კოლმეურნეობა, რომელთა შემოსავალი მილიონ მანეთს სჭარბობს. („კომუნისტ ტაჯიკისტანა“).

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 80 წლისთავი

მოსკოვი

დედაქალაქის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ფართოდ აღნიშნეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 80 წლისთავი.

მოსკოვის საწარმოებსა და დაწესებულებებში 22 აპრილს გაიმართა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მოხსენებები და საუბრები.

საზეიმო სხდომაზე, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში გაიმართა, მოხსენება „ვ. ი. ლენინი და კომუნიზმის მშენებლობა“ გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პ. ნ. პოსპელოვმა.

ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საღამოები გაიმართა აგრეთვე ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიაში, მეცნიერთა მოსკოვის სახლში, სსრ კავშირის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში და სხვ.

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, პარტკაბინეტებში, მუშათა კლუბებსა და კულტურის სასახლეებში გაიხსნა ლიტერატურისა და ფოტოდოკუმენტების გამოფენები, მიძღვნილნი ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი.

ლენინგრადი

ლენინგრადი, 22 აპრილი. (საკდესი). დღეს დიდი ლენინის ქალაქის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს ისტორიული თარიღი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 80 წლისთავი.

ილიჩის სახელობის კულტურის სახლში შეიკრიბნენ კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას“ მუშები, ინჟინრები და მოსამსახურეები. აქ იმის შემდეგ, რაც მოსმენილ იქნა მოხსენება „ვ. ი. ლენინი — ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი და ბელადი“, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა შეასრულეს ილიჩის საყვარელი სიმღერები.

ვიბორგის მხარის ფეიქრები შეიკრიბნენ პირველი მაისის სახელობის კლუბში, სადაც 1917 წელს გაიმართა ბოლშევიკური პარტიის ისტორიული VI ყრილობა. სტახანოველი ქალები თავიანთ სიტყვებში ლაპარაკობდნენ წმიდა ლენინურ ანდერძზე, რომელსაც განუხრელად ასრულებს საბჭოთა ხალხი ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

ქალაქის ყველა რაიონში გაიმართა საღამოები, ლექციები და მოხსენებები, გაიხსნა მრავალი გამოფენა, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიად თანამეგობრობას.

უკრაინა

კიევი, 22 აპრილი. (საკდესი). უკრაინელი ხალხი წმიდად ინახავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას. დღეს ვლადიმერ ილიას-ძის დაბადების 80 წლისთავის დღეს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა მშრომელთა საზეიმო კრებები.

ყველგან მოწყობილია ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი, პროლეტარული რევოლუციის გენიოსების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიადი თანამეგობრობისადმი მიძღვნილი გამოფენები.

დღეს ათასობით კიეველმა დაათვალიერა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის უკრაინის ფილიალის დარბაზები. საღამოს მუზეუმის კონფერენცდარბაზში გაიმართა დამთვალიერებელთა კრება. მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 80 წლისთავის შესახებ გააკეთა მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. კლიმენკომ. შემდეგ აჩვენეს კინოფილმი „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“.

უკრაინის დედაქალაქის კლუბებსა და კულტურის სასახლეებში გაიმართა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოები.

უზბეკეთი

ტაშკენტი, 22 აპრილი. (საკდესი). უზბეკეთის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 80 წლისთავი. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლისადმი მიძღვნილი კრებები და საღამოები გაიმართა რესპუბლიკის საწარმოებში, სასოფლო-სამეურნეო არტელებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში. 100 ათასზე მეტმა აგიტატორმა მოაწყო საუბრები ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე.

უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა სამეცნიერო-თეორიული კონფერენციები მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საკითხებზე.

ესტონეთი

ტალინი, 22 აპრილი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 80 წლისთავის დღეს ესტონეთის საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში გაიმართა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები.

დღეს 600 სასოფლო სახალხო სახლსა და წითელ კუთხეში კოლმეურნეგლეხობამ მოისმინა საუბრები და მოხსენებები ვ. ი. ლენინის შესახებ. კინოთეატრებში უჩვენებენ ფილმებს „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „თოფიანი კაცი“ და სხვ.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც საპირველმაისო ვახტზე დგანან, ღირსშესანიშნავი თარიღი ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნეს.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი კრებები და საღამოები გაიმართა აგრეთვე მინსკში, რიგაში, თბილისში, აშხაბადში და ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა ქალაქსა და სოფელში.

ახალი სახვითი მასალები გერცენის შესახებ

21 აპრილს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში გაფართოებული სამეცნიერო სხდომა გაიმართა. მოხსენება ა. ი. გერცენის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ახალი სახვითი მასალების შესახებ გააკეთა ნ. პ. ანციფეროვმა.

მომხსენებელმა თქვა, რომ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის არქივებში, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და სხვა საცავებში აღმოჩნდა გერცენის, მისი ოჯახისა და მეგობრების უც-

ნობი პორტრეტები, აგრეთვე ამ გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი დემოკრატის თხზულებათა საილუსტრაციო სურათები და ნახატები.

ახალი სახვითი მასალები ძვირფასია როგორც გერცენის მიერ „სინამდვილესა და ფიქრებში“, „საფრანგეთიდან მოწერილ წერილებსა“ და სხვა ნაწარმოებებში გამოყვანილ პირთა დახასიათების ილუსტრაცია.

სხდომაზე უჩვენეს არქივებში აღმოჩენილი სურათების, პორტრეტების, ნახატებისა და გრავიურების ფოტოსურათები. (საკდესი).

დარია გარმაში—ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი

რიაზანი. კოსტიჩევის სახელობის რიაზანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე რიბნოვსკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა დარია მათეს ასულმა გარმაშმა გააკეთა მოხსენება თავისი ბრიგადის გამოცდილების შესახებ. შემდეგ სიტყვებით გამოსულმა სამეცნიერო საბჭოს წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს სატრაქტორო ბრიგადის, აგრონომებისა და მემინდვრეობის ბრიგადების შრომითი თანამეგობრობის მნიშვნელობა. აღინიშნა, ის ფაქტი, რომ ამხ. გარმაშის ბრიგადის ყველა ტრაქტორისტი წარჩინებულად ფლობს მანქანებს, აქვს ღრმა აგროტექნიკური ცოდნა, რაც ხელს უწყობს სატრაქტორო პარკის მაღალნაყოფიერ მუშაობას. სამეცნიერო საბჭოს წევრები ლაპარაკობდნენ აგრეთვე შრომის კარგად მოფიქრებულ ორგანიზაციასა და თვითეული ტრაქტორისტის მუშაობის აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებაზე.

გადაწყვეტილია ამხ. გარმაშის ბრიგადის მუშაობის გამოცდილება შეტანილ იქნას ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაში.

ამავე სხდომაზე დ. მ. გარმაში არჩეულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად. („მოსკოვსკაია პრავდა“).

მოწინავე კოლმეურნეობათა დაჯილდოება

1949 წელს მეცხოველეობისა და საკვების მოპოვების აღმავლობის საქმეში დიდი მიღწევებისათვის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააჯილდოვა მოსკოვის, გორკის, კალინინგრადის, ტამბოვისა და ნოვოსიბირსკის ოლქების, აგრეთვე უკრაინის, საქართველოს, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის, აზერბაიჯანისა და ლიტვის სს რესპუბლიკების 63 მოწინავე კოლმეურნეობა. 26 კოლმეურნეობას მიენიჭა პირველი პრემია — მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“ და 37 კოლმეურნეობას—მეორე პრემია—სატვირთო ავტომანქანა „გაზ-51“.

ბევრმა დაჯილდოებულმა სასოფლო-სამეურნეო არტელმა უკვე შეასრულა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა.

სოფლის მეურნეობის ადგილობრივმა ორგანოებმა 1949 წელს მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში მოპოვებული მიღწევებისათვის დასაჯილდოებლად წარადგინეს ორი ათასამდე კოლმეურნეობა. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო განაგრძობს მოწინავე კოლმეურნეობათა შერჩევას დასაჯილდოებლად.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად მეცხოველეობისა და საკვების მოპოვების აღმავლობის საქმეში დიდი მიღწევებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო საჯიშე სანაშენოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სადგურების დაჯილდოების სახელმწიფო ფონდში 1950-1951 წლებში გამოიყოფა 5 ათასი სატვირთო და 1 ათასი მსუბუქი ავტომანქანა და 10 ათასი მოტოციკლი. (საკდესი).

ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი   შ რ ო მ ი ს   გ მ ი რ ე ბ ი

ა. ე. ჩუხუა

ზუგდიდის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.200 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

დ. გ. ლეჟავიძე (?)

ტყიბულის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 31,9 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ი. ნ. ხარიძე

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ მევენახე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ი. დ. კურტავი (?)

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მეჩაიე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.902 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

მისალმებათა ნაკადი

[illegible]

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირთა პირველადი ორგანიზაციების ღონისძიებათა შესახებ

[illegible]

პირველი ბოლშევიკური ყრილობა

(45 წელი III ყრილობის გახსნიდან)

1905 წლის 9 იანვრის ამბებით დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია — რუსეთის პირველი რევოლუცია. 9 იანვარი, როგორც ლენინი მიუთითებდა, იყო მობრუნების პუნქტი რუსეთის ისტორიაში. „მთლიანად რუსეთი გადაიქცა . რევოლუციური პროლეტარიატისა და რევოლუციური ხალხის რუსეთად“ (თხზ., ტ. 23, გვ. 230).

რევოლუცია დაიწყო მუშათა კლასმა, მაგრამ იმისათვის, რომ მუშათა კლასს ამ რევოლუციაში გამარჯვებისათვის მიეღწია, უდიდესი სიძნელეების დაძლევა იყო საჭირო. რევოლუციამ აამოძრავა საზოგადოების ყველა კლასი და ყველა პარტია, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებიათ რევოლუცია. ასეთ ვითარებაში პროლეტარიატის გამარჯვებას უზრუნველყოფდა მხოლოდ სწორი ხელმძღვანელობა თავისი პარტიის მხრივ და სწორი რევოლუციური ტაქტიკა. მაგრამ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდში მენშევიკების დეზორგანიზატორული საქმიანობის გამო პარტია გათიშული იყო. II ყრილობის დამთავრებისთანავე „დაიწყო უმცირესობის გააფთრებული ბრძოლა ცენტრების წინააღმდეგ, ნამდვილი ბრძოლა დირიჟორის ჯოხის გულისთვის, წრეობანას ნამდვილი ბრძოლა პარტიულობასთან“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 221). ამ ბრძოლაში მენშევიკებს დაეხმარა პლეხანოვი. მისი დახმარებით მენშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ჯერ პარტიის ცენტრალური ორგანო — „ისკრა“, ხოლო შემდეგ ცენტრალური კომიტეტი და დაიწყეს მათი გამოყენება ბოლშევიკების წინააღმდეგ, პარტიაში გათიშვის გასაღრმავებლად.

პარტიაში მძიმე კრიზისი შეიქმნა. მდგომარეობა კიდევ იმან გაამწვავა, რომ „მენშევიკებმა თავის ძველ უთანხმოებებს პარტიის უმრავლესობასთან **ორგანიზაციულ** საკითხებზე დაუმატეს ახალი უთანხმოებანი, — უთანხმოებანი **ტაქტიკურ** საკითხებზე“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 81). ეს უთანხმოებანი შეეხებოდა პარტიისათვის უაღრესად არსებით, პირველხარისხოვან საკითხებს—თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიული კლასებისადმი, განსაკუთრებით ლიბერალური ბურჟუაზიისადმი დამოკიდებულებას, მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობას, მათი რევოლუციური გამოსვლებისადმი დამოკიდებულებასა და ხელმძღვანელობას და სხვა,— ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა განსაზღვრავდა ჩვენი პარტიის სახეს—დარჩებოდა ის მეორე ინტერნაციონალის პარტიების მსგავს ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ პარტიად, თუ იქნებოდა რევოლუციური პარტია, ახალი ტიპის პარტია, ისეთი, როგორსაც ლენინი და სტალინი აშენებდნენ მისი ჩასახვიდან.

პარტიული კრიზისისათვის თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად ლენინმა მიიჩნია პარტიის მორიგი III ყრილობის მოწვევა, მაგრამ მენშევიკები გადაჭრით წინაღუდგნენ ამ განზრახვას. მაშინ ლენინმა მიმართა პარტიის საბჭოს, რომელიც II ყრილობამ აირჩია პარტიაში მოსალოდნელი გართულების მოწესრიგებისა და მორიგ ყრილობათა მოწვევის ორგანიზაციისათვის. მაგრამ პარტიის საბჭო მენშევიკებს მიემხრო და გაილაშქრა III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ.

პარტიისათვის ამ მძიმე დღეებში, 1903 წლის დამლევს მყარდება წერილობითი ურთიერთობა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს შორის. აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლებული სტალინი ლენინისაგან ღებულობს პასუხს თავის წერილზე. „ლენინის წერილი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — შედარებით პატარა იყო, მაგრამ ის იძლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულ, უშიშარ კრიტიკას და მასში შესანიშნავი სიცხადით და სხარტად იყო მოცემული ჩვენი პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის“ (თხზ., ტ. 6, გვ. 63).

ვ. ი. ლენინს უახლოესი პერიოდისათვის პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა სწორედ პარტიის III ყრილობის მოწვევა, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო პარტიაში შექმნილი მძიმე კრიზისისათვის. გადასახლებაში ი. ბ. სტალინი დიდხანს არ დარჩენილა. 1904 წლის 4 იანვარს ის გამოიქცა ციმბირიდან და თებერვალში უკვე დაბრუნდა საქართველოში.

ლენინი და სტალინი, ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ III ყრილობის მოწვევის საქმეს.

1904 წლის აგვისტოში შვეიცარიაში ლენინის ხელმძღვანელობით გაიმართა 22 ბოლშევიკის თათბირი, რომელმაც მიიღო ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა „პარტიისადმი“. ეს მიმართვა გახდა III ყრილობის მოწვევისათვის ბოლშევიკების ბრძოლის პროგრამა.

დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების პარტიულმა ორგანიზაციებმა ვ. ი. ლენინს დაუჭირეს მხარი. 1904 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სამი საოლქო კონფერენცია — სამხრეთის, კავკასიის და ჩრდილოეთის. არჩეულ იქნა უმრავლესობის კომიტეტების ბიურო, რომელიც შეუდგა პრაქტიკულ მზადებას პარტიის III ყრილობისათვის.

ლენინი ყოველმხრივ აჩქარებდა ბიუროს და ადგილობრივ კომიტეტებს. „ყრილობა უნდა იყოს უბრალო, ხანმოკლე, არამრავალრიცხოვანი. ეს არის—ყრილობა ომის მოსაწყობად“,— წერდა ლენინი 1905 წლის 11 თებერვალს (თხზ. ტ. 8, გვ. 159). 28 თებერვალს „წერილში რუსეთის ორგანიზაციებს“ ლენინი კვლავ ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხზე:

ვ. ი. ლენინის ამ მითითებებს განსაკუთრებით მხურვალედ გამოეხმაურნენ კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები. ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს შეგნებული ჰქონდათ, რომ III ყრილობის მოწვევა პარტიის სასიცოცხლო ინტერესებით იყო გამოწვეული. ამიტომ ამიერკავკასიის ყველა სამრეწველო ცენტრში და სოფლის რაიონებში ბოლშევიკები ენერგიულ მუშაობას აჩაღებენ. ამხანაგმა სტალინმა ამ პერიოდში პირადად მოიარა ყველა დიდი სამრეწველო და სოფლის რაიონი (თბილისი, ბაქო, ბათუმი, ჭიათურა, ქუთაისი, დასავლეთ საქართველოს გლეხთა რაიონები), განამტკიცა ძველი პარტიული ორგანიზაციები და მთელ რიგ ადგილებში შექმნა ახალი ორგანიზაციები.

ასეთი დაძაბული წინასწარი მუშაობის შემდეგ 1905 წლის 25 აპრილს ლონდონში შეიკრიბა III ყრილობა — პირველი ბოლშევიკური ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო პარტიის ყველა დიდი ორგანიზაცია — 24 დელეგატი 20 ბოლშევიკური კომიტეტისაგან. ყრილობის მომწვევი ბიუროს მიერ მოწვეულ იქნა ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია — ბოლშევიკურიც და მენშევიკურიც, მაგრამ მენშევიკებმა უარი განაცხადეს ყრილობაში მონაწილეობაზე და ცალკე, ჟენევაში გამართეს თავიანთი კონფერენცია, რომელმაც ყველა პრინციპულ საკითხზე ბოლშევიკების ყრილობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებდა იმ აზრს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ფაქტიურად წარმოადგენდა ორ პარტიას— ბოლშევიკების რევოლუციურ პარტიას და მენშევიკების ოპორტუნისტულ-შემთანხმებლურ პარტიას. სწორედ ასე განსაზღვრა ლენინმა პარტიაში არსებული მდგომარეობა: „ორი ყრილობა — ორი პარტია“.

ვ. ი. ლენინი უშუალოდ ხელმძღვანელობს III ყრილობის მთელ მუშაობას: თავმჯდომარეობს ყრილობას, აქტიურ მონაწილეობას იღებს კომისიებში (რეზოლუციათა გამომმუშავებელი, საოქმო, სამანდატო), აწარმოებს სხდომათა დაწვრილებით დღიურს, გამოდის მოხსენებით ან სიტყვით დღის წესრიგის თითქმის ყველა საკითხზე. ყრილობის ყველა ძირითადი რეზოლუცია — შეიარაღებული აჯანყების, დროებითი რევოლუციური მთავრობის, გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ და სხვა, ლენინის მიერ არის დაწერილი. ლენინის ყველა გამოსვლებსა და მის მიერ დაწერილ რეზოლუციებს წითელ ზოლად გასდევს პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის დაცვა და დასაბუთება, რევოლუციაში პროლეტარულ, მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელი როლისათვის ბრძოლა.

• • •

ყველაზე მთავარი, რაც III ყრილობამ მოგვცა, ის იყო, რომ მან პარტია შეაიარაღა რევოლუციაში სამოქმედო ტაქტიკით.

ლენინი და სტალინი ასწავლიდნენ პარტიას, რომ რევოლუციაში გამარჯვებისათვის პარტიას უნდა ჰქონდეს არა მარტო რევოლუციური პროგრამა და კარგად დამუშავებული სტრატეგიული გეგმა, არამედ ყველა პირობებისათვის — რევოლუციის როგორც აღმავლობის, ისე უკუქცევის პერიოდში გამოსადეგი ტაქტიკაც. „ტაქტიკური ხელმძღვანელობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—არის სტრატეგიული ხელმძღვანელობის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მის ამოცანებსა და მოთხოვნებს. ტაქტიკური ხელმძღვანელობის ამოცანა ის არის, რომ დაეუფლო პროლეტარიატის ბრძოლისა და ორგანიზაციის ყველა ფორმას და უზრუნველყო მათი სწორი გამოყენება იმისათვის, რომ მიაღწიო შედეგების იმ მაქსიმუმს ძალთა არსებულ თანაფარდობის დროს, რაც აუცილებელია სტრატეგიული წარმატების მოსამზადებლად“ (თხზ. ტ. 6, გვ. 185).

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში რსდმპ-ში იბრძოდა ორი ტაქტიკური ხაზი — ბოლშევიკებისა და მენშევიკების ხაზი. ბოლშევიკების ტაქტიკა ითვალისწინებდა რევოლუციის გაშლას პროლეტარიატის ჰეგემონიის ვითარებაში, მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან და ლიბერალური ბურჟუაზიის იზოლაციას, მუშათა კლასისა და გლეხობის ძალებით საერთო სახალხო აჯანყების ორგანიზაციას და ამ გზით ცარიზმის დამხობას. ეს იყო პროლეტარიატის რევოლუციური ტაქტიკა. მენშევიკების ტაქტიკა გათვალისწინებული იყო რევოლუციის ძალების შესაბორკავად. „რადგან რევოლუცია ბურჟუაზიულია, — ამტკიცებდნენ მენშევიკები, — რევოლუციის ბელადად შეიძლება იყოს მხოლოდ ლიბერალური ბურჟუაზია. პროლეტარიატი გლეხობას კი არ უნდა დაუახლოვდეს, არამედ ლიბერალურ ბურჟუაზიას. აქ მთავარია არ დააფრთხო ლიბერალური ბურჟუაზია შენი რევოლუციურობით და არ მისცე მას საბაბი ზურგი შეაქციოს რევოლუციას, ვინაიდან თუ იგი რევოლუციას ზურგს შეაქცევს, რევოლუცია დასუსტდება“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 83).

გლეხობა მენშევიკების გეგმით სავსებით გამორიცხული იყო რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა სქემიდან. „ძნელი არ არის იმის მიხვედრა, — წერდა ამხანაგი სტალინი მენშევიკების ამ გეგმის შესახებ,—რომ რამდენადაც ეს გეგმა მოძრაობიდან გამორიცხავდა მრავალმილიონიან გლეხობას ისეთ ქვეყანაში, როგორც რუსეთია, იგი უიმედოდ უტოპიური იყო, ხოლო რამდენადაც იგი რევოლუციის ბედს ხელში უგდებდა ლიბერალურ ბურჟუაზიას (ბურჟუაზიის ჰეგემონია), იგი რეაქციული იყო, ვინაიდან ლიბერალური ბურჟუაზია დაინტერესებული არ იყო რევოლუციის სრული გამარჯვებით და ყოველთვის მზად იყო ცარიზმთან გარიგებით დაემთავრებინა საქმე“ (თხზ. ტ. 5, გვ. 192).

III ყრილობამ რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ რევოლუციას მაშინ არ შეეძლო გასცილებოდა კაპიტალიზმის დროის დასაშვებ ფარგლებს, აღიარა, რომ რევოლუციის სრული გამარჯვებით დაინტერესებულია უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატი, ვინაიდან რევოლუციის გამარჯვება პროლეტარიატს შესაძლებლობას მისცემს აიმაღლდეს პოლიტიკურად, შეიძინოს მშრომელი მასების მიმართ პოლიტიკური ხელმძღვანელის გამოცდილება და ჩვევები და გადავიდეს ბურჟუაზიულ რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე. „პროლეტარიატი თავისი მდგომარეობით, — წერდა ლენინი III ყრილობისათვის წარდგენილ რეზოლუციაში, — ყველაზე მოწინავე და ერთადერთი თანმიმდევარი რევოლუციური კლასია და ამიტომ მოწოდებულია ხელმძღვანელი როლი შეასრულოს რუსეთის საერთო-დემოკრატიულ რევოლუციაში“ (თხზ., ტ. 8, გვ. 437). ყრილობამ აღიარა, რომ პროლეტარიატის ტაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სრულ გამარჯვებას, შეუძლია მხარი დაუჭიროს მხოლოდ გლეხობამ, რადგან იგი ვერ შეძლებს თავიდან მოიშოროს მემამულეები და მიიღოს მემამულეთა მიწა რევოლუციის სრული გამარჯვების მიუღწევლად. ამიტომ გლეხობა პროლეტარიატის ბუნებრივი მოკავშირეა.

ყრილობამ აღიარა, რომ ლიბერალური ბურჟუაზია დაინტერესებული არ არის ამ რევოლუციის სრული გამარჯვებით, რადგან მას ესაჭიროება მეფის ხელისუფლება, როგორც მათრახი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ამიტომ სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა ლიბერალური ბურჟუაზიის მიმართ უნდა იყოს ამ უკანასკნელის იზოლაცია. ყრილობამ საჭიროდ ცნო, რომ სოციალ-დემოკრატიას აქტიური მონაწილეობა მიეღო ცარიზმის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების მოწყობის საქმეში, ხოლო თუ აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში შეიქმნებოდა დროებითი რევოლუციური მთავრობა, მონაწილეობა მიეღო მასში, რათა რევოლუცია ბოლომდე მიეყვანა. ასეთი იყო ბოლშევიკების ტაქტიკის ძირითადი საფუძვლები.

რევოლუციური მოძრაობის ზრდით შეშინებული და საკმაოდ შერყეული თვითმპყრობელობა იძულებული იყო დაეთმო „საერთოდ დემოკრატიისა და კერძოდ მუშათა კლასისათვის“. მთავრობა დაპირებას იძლეოდა, რომ თუ რევოლუციური მოძრაობა შეწყდებოდა, იგი მოიწვევდა „წარმომადგენლობით დაწესებულებას“ და გადაწყვეტდა ყველა იმ საკითხს, რაც „ხალხს აღელვებდა“. განაპირა ქვეყნებს, კერძოდ ბალტიისპირეთისა და კავკასიაში შემავალ ხალხებს ცარიზმი ჰპირდებოდა სასამართლოების, ადგილობრივი მმართველობის რეფორმებს, საერობო მართვა-გამგეობის შემოღებას და სხვ. ეს იყო თვითმპყრობელობის მორიგი თვალთმაქცობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა წვრილმანი დათმობებით და დათმობათა დაპირებებით ლახვარი ჩაეცა რევოლუციისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, რომელშიც განსაზღვრულია ბოლშევიკების დამოკიდებულება თვითმპყრობელობის „ახალი კურსისადმი“. პროექტში ვკითხულობთ: „სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ უნდა... განუხრელად ამხილოს პროლეტარიატის წინაშე რეაქციული მიზნები მთავრობისა, რომელიც ცდილობს გათიშოს, გახრწნას მუშათა კლასი და მისი ყურადღება ჩამოაშოროს მუშათა კლასის საარსებო ინტერესებს რევოლუციურ მომენტში“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 8, გვ. 441-442).

პრინციპულად საწინააღმდეგო თვალსაზრისს დაადგნენ მენშევიკები. მენშევიკები არამცთუ შეეცადნენ მეფის მთავრობის მხილებას, არამედ ყოველმხრივ მოიწონეს თვითმპყრობელობის ღონისძიებანი, ხოტბა შეასხეს მათ.

მენშევიკებმა გადაჭრით გაუწიეს წინააღმდეგობა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობას დროებით რევოლუციურ მთავრობაში, რომელიც ძლევამოსილი სახალხო აჯანყების შედეგად უნდა შექმნილიყო, მაგრამ სიამოვნებით დათანხმდნენ საერო კრებაში ან სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობაზე, რომელსაც თვით მეფის მთავრობა იწვევდა. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებდა მენშევიკების გამცემლობას. სწორედ ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესები მოითხოვდნენ სათათბიროს მოწვევას. ეს ექსპლოატატორული კლასები ცდილობდნენ სათათბიროს გზით საერთო ენა გამოენახათ ცარიზმთან, რევოლუცია დამთავრებულად გამოეცხადებინათ და კვლავ ეწოვათ მუშათა კლასისა და გლეხობის სისხლი. მენშევიკები ამ მუხანათურ საქმეში მათი თანაშემწენი იყვნენ.

ორგანიზაციულ საკითხებზე ვ. ი. ლენინის გამოსვლები და ყრილობის [illegible] რებული ტაქტიკის საკითხებზე გამოსვლებთან და დადგენილებებთან. ისინი გამსჭვალული არიან მუშათა კლასის როლის აძლიერების, მასებთან კავშირის განმტკიცების ლენინური სულისკვეთებით.

ყრილობაზე ლენინმა სასტიკად გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, რომელთაც არ სურდათ მუშები შეეყვანათ პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში და დაჟინებით მოითხოვა კომიტეტების გამუშურება. „კომიტეტებში მუშების შეყვანა,—ამბობდა ლენინი, — არა მარტო პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური ამოცანაც არის. მუშებს კლასობრივი ინსტინქტი აქვთ, და მცირეოდენი პოლიტიკური ჩვევის დროს მუშები საკმაოდ მალე ხდებიან მტკიცე სოციალ-დემოკრატები. მე დიდი თანაგრძნობით მოვეკიდებოდი იმას, რომ ჩვენი კომიტეტების შემადგენლობაში ყოველ 2 ინტელიგენტზე 8 მუშა იყოს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 8, გვ. 280).

ლენინის ეს მითითებანი საფუძვლად დაედო ბოლშევიკების ორგანიზაციულ პოლიტიკას.

ყრილობამ დაგმო მენშევიკები, როგორც „პარტიის გამოთიშული ნაწილი“, და ცენტრალურ კომიტეტს მიუთითა იმ მენშევიკურ ორგანიზაციათა დაშლის აუცილებლობაზე, რომლებიც არ ცნობდნენ III ყრილობის გადაწყვეტილებებს და განაგრძობდნენ თავიანთ დეზორგანიზატორულ მოღვაწეობას. ყრილობამ გაასწორა II ყრილობის შეცდომა და წესდების პირველი პარაგრაფი—პარტიის წევრობის შესახებ, ლენინური რედაქციით მიიღო.

III ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას. „გლეხთა მოძრაობისათვის მხარდაჭერის შესახებ“ ვ. ი. ლენინის მოხსენებასთან ერთად, რომელიც ამ საკითხის „თეორიულ საფუძვლებს“ შეეხებოდა, ყრილობამ მოისმინა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ წარგზავნილი დელეგატის მ. გ. ცხაკაიას თანამოხსენება ამ დარგში „პარტიის პრაქტიკული გამოცდილების შესახებ“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 8, გვ. 471), რომელიც ძირითადად საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მაგალითებზე იყო აგებული. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ყრილობამ ჩათვალა „ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლ ორგანიზაციებად“, ხოლო მათი ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის ბრძოლა — მოწინავე რევოლუციურ მოძრაობად, რომელიც „უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო აჯანყებამდე“. (იქვე, გვ. 497-498).

• • •

III ყრილობის შემდეგ ტაქტიკური უთანხმოება რსდმპ-ში კიდევ უფრო გამწვავდა. დამარცხებით გაძწარებული მენშევიკები ყოველმხრივ იბრძოდნენ III ყრილობის დადგენილებათა წინააღმდეგ. ამიერკავკასიის მენშევიკები მოღალატე ნ. ჟორდანიას მეთაურობით იქამდეც კი მივიდნენ, რომ უკანონოდ გამოაცხადეს III ყრილობის მოწვევა, მაგრამ ლენინმა და სტალინმა გამანადგურებელი პასუხი გასცეს მენშევიკების ყველა გამოხდომას.

III ყრილობის მუშაობის დამთავრებიდან სამი თვის შემდეგ ვ. ი. ლენინმა გამოაქვეყნა თავისი განთქმული ნაშრომი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, რომელშიც III ყრილობის დადგენილებათა და ყრილობის შემდგომი პერიოდის ამბების ღრმა ანალიზის საფუძველზე მოცემულია მენშევიკების ტაქტიკის კლასიკური კრიტიკა და ბოლშევიკური ტაქტიკის გენიალური დასაბუთება. ლენინის ამ ნაშრომმა „მარქსიზმი გაამდიდრა რევოლუციის ახალი თეორიით და საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკური პარტიის იმ რევოლუციურ ტაქტიკას, რომლის შემწეობითაც ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა 1917 წელს კაპიტალიზმზე გაიმარჯვა“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 99).

III ყრილობას უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1905-1907 წლებისა და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციებმა, და შემდეგ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პრაქტიკულად დაამტკიცეს III ყრილობის მიერ გამომუშავებული ლენინურ-სტალინური ტაქტიკის სისწორე.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია უკვე იძლეოდა ყველა საფუძველს ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების თეორიის შესაქმნელად, რაც 10 წლის შემდეგ, 1915 წელს კიდევაც ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა. ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინური იდეა შემდგომ განავითარა დიდმა სტალინმა. ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა კავშირში წარმატებით იქნა აშენებული სოციალისტური საზოგადოება და გაჩაღდა ბრძოლა სრული კომუნისტური საზოგადოების აგებისათვის.

„ბოლშევიზმი ტაქტიკის ნიმუშია ყველასათვის“—ამბობდა დიდი ლენინი. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, ბოლშევიკების მიერ შემუშავებული და მათ მიერვე ოსტატურად გამოყენებული ტაქტიკით ხელმძღვანელობენ ამჟამად მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები.

გ. სიხარულიძე

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

დიდი მასშტაბის ახალი სამუშაოები

იწყება დიდი, თვალუწვდენელი სამგორის ველზე სარწყავი არხის გაყვანის სამუშაოთა ახალი სეზონი. გასული წლის მაგალითისამებრ, წელს სამგორის ველზე მიწის სამუშაოთა შესრულება იწარმოებს ფერგანული წესით. მიღებულია ცნობები, რომ სამგორის მშენებლობაში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს რესპუბლიკის 24 რაიონის მშრომელებმა. მშენებლობის ხელმძღვანელებმა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ მშენებელთა მისაღებად, მათთვის სამუშაოთა უბნების გამოსაყოფად, ტექნიკური ხელმძღვანელობისა და მშენებელთა მასების მომსახურების საკითხების მოსაწესრიგებლად სათანადო მზადება უკვე ჩაატარეს.

მაისის პირველი დეკადის შემდეგ სამგორის ველზე სამუშაოდ გამოვლენ მცხეთის, გარეუბნის, ბოლნისის, დუშეთის, საგარეჯოს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მრავალი სხვა რაიონის კოლმეურნეები.

სახალხო მშენებლები მიწის სამუშაოებს წელს შეასრულებენ ზემომაგისტრალური არხის „თბილისის ზღვასთან" შეერთების უბანზე, ქვემო-სამგორის მაგისტრალის გასაყვანად (ეს მაგისტრალური არხი გაჰყავთ „თბილისის ზღვიდან" გარდაბნის მიმართულებით), აგრეთვე ჩრდილოეთის მაგისტრალური არხის მშენებლობაზე, რომელიც თბილისის წყალსაცავიდან მიღებულ წყალს გაატარებს მცხეთა-ავჭალის მიმართულებით, და თვით თბილისის წყალსაცავზე.

წელს სამგორის მშენებლობა ბევრად უფრო ფართო მასშტაბით იქნება გაშლილი, ვიდრე შარშან. მარტო რესპუბლიკის რაიონებიდან ჩამოსული მშენებელი კოლმეურნეები შეასრულებენ 238.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოებს.

* * *

20 აპრილს სამგორის სივრცეთა სიჩუმე წელს პირველად გარდაბნის რაიონიდან ჩამოსულ კოლმეურნე მშენებელთა მრავალრიცხოვანი რაზმის ხმაურმა დაარღვია. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მაჰმედ მუსტაფა-ოღლის მეთაურობით 500 გარდაბნელი ვაჟკაცი ეწვია მლაშე ტბის რაიონს.

გარდაბნელები უაღრესად დაინტერესებულნი არიან სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის ადრე დამთავრებით, რადგან ეს სისტემა მათი რაიონის იმ ხრიოკ ველებსაც მორწყავს, რომელიც რუსთავს ეკვრის. ამიტომ ისინი როდი დაკმაყოფილდნენ მიცემული დავალების შესრულებით. მათ იკისრეს გეგმის გადამეტებით შესრულონ 500 კუბმეტრი მიწის სამუშაო, ამასთან ნაცვლად 10 დღისა, 5 დღეში გაიყვანონ არხი 550 გრძივ მეტრზე. ამ ვალდებულებათა შესასრულებლად ბრიგადებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. დააწესეს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ყოველდღიურად იმ ბრიგადას გადაეცემა, რომელიც შეჯიბრებაში უკეთეს მაჩვენებლებს მოიპოვებს.

უჩვეულო შრომითი პათოსია მშენებლობაზე. ყველა ცდილობს თავი გამოიჩინოს, სამუშაო უკეთესად შეასრულოს.

ამ საერთო-სახალხო საქმეში მონაწილეობის სიხარულმა ერთი-ორად შემატა ენერგია სოფელ ზემო ქაფანახჩის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ბინათ მამედოვს და სოფელ ქოსალოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ზიადინ აჰმედ-ოღლის. ისინი მესამე წელია ზედიზედ მონაწილეობენ სამგორის სახალხო მშენებლობაში. წინა წლებში ისინი 2-2 ნორმას ასრულებდნენ დღეში და ახლაც გამოირჩევიან მამაცური შრომით. ზიადინ აჰმედ-ოღლის ბრიგადამ 21 აპრილს 340 კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულა. იგი შეჯიბრებაში გამოიწვია სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ბრიგადამ. ბრიგადებმა გადაწყვიტეს 4 დღეში დაამთავრონ დავალების შესრულება და შემდეგ სხვებს დაეხმარონ. ისინი ერთმანეთს ეცილებიან გარდამავალი წითელი დროშის მოპოვებაში. ამ ბრიგადების ახალგაზრდა წევრებმა აჰმედ ჰაჯი-ალი-ოღლიმ, ბაი ჰაჯი-ალი-ოღლიმ, იოლჩი ოსმან-ოღლიმ და ჰუმბათ მუსა-ოღლიმ, რომლებიც კოლმეურნეობაშიც მოწინავენი არიან, 21 აპრილს დღიური დავალება 250 პროცენტით შეასრულეს.

ამ დღეს სახელი გაითქვეს აგრეთვე სოფელ ჯანდარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, სოფელ ერთობის კოლმეურნეობა „მსოფლიო ოქტომბერმა", მშენებლობაზე გამოსულმა ყველა კოლმეურნემ.

მშენებლებს ტექნიკურ ხელმძღვანელობას უწევს რაიონის ინჟინერ-ჰიდრავლიკოსი ფ. ორუჯევი, კულტურულ-მასობრივ და სააგიტაციო მუშაობას უნარიანად ხელმძღვანელობს განათლების განყოფილების ინსპექტორი ვ. თომაევი. მშენებლებთან ჩამოსულია მხატვრული თვითმოქმედების სარაიონო გუნდი. მშენებლები უზრუნველყოფილი არიან სასმელი წყლით, აქვე გახსნილია საპროდუქტო სავაჭრო, სასადილო, საექიმო პუნქტი, მუშაობს აბანო.

ქ. მაყაშვილი

უკრაინელ მაღაროელთა დელეგაცია ჭიათურაში

ჭიათურა. (საქ. კორ.). ჭიათურაში ჩამოვიდა ნიკოპოლის მარგანეცის მრეწველობის საწარმოთა მუშების დელეგაცია 5 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას ხელმძღვანელობს ნიკოპოლის მაქსიმოვის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინერი ივანე ალამახა.

ჭიათურაში უკრაინელი მაღაროელების ჩამოსვლის მიზანია ჭიათურელ მაღაროელებთან კავშირის განმტკიცება, ურთიერთისათვის საწარმოო გამოცდილების გაზიარება და უკრაინელ და ქართველ მაღაროელთა შორის 1950 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმება.

პრესის მიმოხილვის მაგიერ

უცოდინარობა, უპასუხისმგებლობა

კაჰრეთის რაიონული გაზეთის „სოციალისტური მემინდვრეობის" 1950 წლის 8 აპრილის ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია: „მოწინავე რგოლი", რომელშიც ნათქვამია: „კაჰრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის № 1 ბრიგადის № 2 რგოლის ხელმძღვანელი ეკატერინე ჯიქურაშვილი ენერგიულად ხელმძღვანელობს და ხარისხიანად ატარებს საგაზაფხულო სამუშაოებს".

საინტერესოა, როგორ ახერხებს მერგოლური ეკატერინე ჯიქურაშვილი ენერგიულ შრომასა და რგოლისადმი ხელმძღვანელობას, როცა მას მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში საკოლმეურნეო შრომაში სულ არ მიუღია მონაწილეობა, ხოლო მარტში გამოუმუშავებია მხოლოდ 9,06 შრომადღე.

გაზეთი აგრეთვე დასძენს, რომ რგოლს მოსავლელად მიჩენილი აქვს 25,5 ჰექტარი ხორბალი.

როგორც ჩანს, გაზეთს და მის რედაქტორს ამხ. მ. მათიაშვილს მცდარი წარმოდგენა აქვთ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხებზე. გაზეთმა დაივიწყა, რომ შრომის ორგანიზაციის ძირითად და მთავარ ფორმას კოლმეურნეობაში წარმოადგენს საწარმოო ბრიგადა, რომელიც იძლევა ფართო შესაძლებლობას მტს-ების მძლავრი ინდუსტრიული ტექნიკის გამოსაყენებლად. მარცვლეულის მეურნეობაში რგოლი წარმოადგენს დაბრკოლებას ტრაქტორების, კომბაინების და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენებისათვის. ამიტომ მუშაობის რგოლური სისტემა მარცვლეულის მეურნეობაში დაგმობილია.

როგორც გამოირკვა, კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მარცვლეულის ნათესი მიჩენილი აქვს ბრიგადას და რგოლები იქ არ არსებობენ.

აქედან ჩანს, რომ გაზეთის რედაქტორი და რედაქციის მუშაკები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მასალების მომზადებას, არა აქვთ მტკიცე კავშირი კოლმეურნეებთან, სისტემატურად არ სწავლობენ საქმის მდგომარეობას კოლმეურნეობებში. გაზეთ „სოციალისტური მემინდვრეობის" მუშაკებმა აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ.

კიროვის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის პარტიული აქტივის კრებამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ი. ჩოჩიას მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმის შედეგებისა და რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განუხრელმა ზრდამ, თქვა ამხ. ჩოჩიამ, ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ, ფართო მოხმარების საგნების დიდი რაოდენობით გამოშვებამ უზრუნველყო საქონელბრუნვის შემდგომი განვითარება და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმმა მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა სავაჭრო ორგანიზაციებს. ამ ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში დიდი როლი ენიჭებათ სავაჭრო საწარმოთა პირველადს პარტორგანიზაციებს, მაგრამ ყველა მათგანი როდი დგას მოწოდების სიმაღლეზე. ზოგი სავაჭრო საწარმოს პარტორგანიზაცია არ ებრძვის სავაჭრო წესების დამრღვევთ, არ ეწევა სავაჭრო დარგის მუშაკებში პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, არ ზრუნავს მათი პოლიტიკური განათლებისათვის. თბილისის სასადილოების პირველი ტრესტის სისტემის კაფე-სასაუზმე № 118/119-ში ხშირია შემთხვევა, როცა მომხმარებელს ხურდას არ უბრუნებენ. პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ვოსკანოვი ამის წინააღმდეგ არ იბრძვის. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს თბილვაჭრობის „პასაჟის" პარტიული ორგანიზაციაც. ზოგიერთი პარტორგანიზაციის მდივნები (მაგალითად, საქვაჭრობის № 2 მაღაზიის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ჯინჯიხაშვილი), იმიზეზებენ რა სამსახურებრივ დატვირთვას, არ მუშაობენ თავიანთი იდეური დონის ამაღლებისათვის.

შემდეგ ამხ. ჩოჩიამ ილაპარაკა რაიონის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაობაზე.

ამხ. ჩოჩიას მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პ. კილასონიამ (თბილვაჭრობის დირექტორი), ა. ებანოიძემ (თბილპურვაჭრობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი) და სხვებმა, სულ 11-მა ამხანაგმა.

კამათში გამოსული ამხანაგები აკრიტიკებდნენ სავაჭრო ორგანიზაციებში არსებულ ნაკლოვანებებს და მიუთითებდნენ მათი გამოსწორების გზებზე.

დასასრულ პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

გარდამავალი დროშა და პრემია

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ურთიერთდაზღვევისა და ურთიერთდახმარების სალაროთა კავშირი (პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. კიკაჩეიშვილი) 1949 წლის მეოთხე კვარტალში მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებით გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიეკუთვნა სრულიად-საკავშირო სარეწაო კოოპერაციის ურთიერთდაზღვევისა და ურთიერთდახმარების სალაროთა კავშირის გარდამავალი წითელი დროშა და პრემია 15 ათასი მანეთი.

ომისშემდგომ პერიოდში რესპუბლიკის სალაროთა კავშირმა მეორედ მოიპოვა ეს საპატიო ჯილდო, ხოლო რამდენჯერმე დაიკავა პირველი და მეორე ადგილი სარეწაო კოოპერაციის ურთიერთდაზღვევისა და ურთიერთდახმარების საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანიზაციათა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

თბილისის მიდამოები ტყეებით დაიფარება

ჩვენი დედაქალაქის — თბილისის მიდამოების გამწვანებას დიდი ყურადღება ექცევა. ამ მიზნით თბილისის სატყეო მეურნეობამ 10 ჰექტარ სანერგეში უკვე გამოიყვანა 8 მილიონამდე ძირი წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარე. შარშან შემოდგომაზე ტყის გასაშენებლად მომზადდა 400 ჰექტარი მიწა. აქედან 200 ჰექტარი ტყე დარგვით გაშენდება, 200 ჰექტარი — დათესვით. წელს გათვალისწინებულია 500 ჰექტარი ფართობის ათვისება.

ამ გეგმის დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია, დათესილი და დარგულია 365 ჰექტარი. თბილისის სატყეო მეურნეობის 7 სატყეო უბნიდან წლიური დავალება უკვე შეასრულეს წყნეთის, ლისის და ოროთაჰალის სატყეო უბნებმა. მარტო წყნეთის უბანზე ტყის გაშენების სამუშაო შესრულებულია 170 ჰექტარზე. აქ 36 ჰექტარი ანუ 32.000 ძირი მარტო ხეხილი გაშენდა, აქედან 20 ჰექტარი კაკალი, დანარჩენი კი ნუში, ჰერამი, მაჟალო, პანტა და სხვ.

გამწვანების სამუშაოები დიდი წარმატებით მიმდინარეობს კოჯრის, გლდანის და სხვა სატყეო უბნებში. ახლა მთავარი ის არის, რომ გეგმები ყველგან შევასრულოთ დროზე და მაღალხარისხოვნად, მივაღწიოთ ნარგავ-ნათესის მთლიანად გახარებას.

ისტორიული ცნობები მოწმობენ, რომ თბილისის მიდამოები წარსულში ტყეებითა და ბაღებით იყო დაფარული. ცნობილი ბოტანიკოსი დ. სოსნოვსკი თავის ნაშრომში „კავკასიაში ბუნების ძეგლთა დაცვა" წერს: „შედარებით არაშორეულ წარსულში, ჩვენს უახლოეს წინაპართა დროს, ყველა ეს ფერდობი (იგულისხმება თბილისის ირგვლივ მდებარე მთის კალთები) მთლიანად ტყით იყო დაფარული. ამ ტყეების მცირე ნაშთები დღემდე გვხვდება აქა-იქ ხევებში. აქ არსებული ტყის ჯიშები საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ამ ტყეების შემადგენლობაში შედიოდა წიფელიც კი".

ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი უნდა ყოფილიყო ტენიანობა თბილისის მომიჯნავე მიდამოებში, თუ აქ წიფლის ტყეებიც კი იყო, რადგან ცნობილია, რომ ეს ჯიში როგორც ნიადაგის, ისე ჰაერის დიდ სინესტეს მოითხოვს.

ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნეში იმოგზაურა საქართველოში, წერდა: „თბილისის მიდამო შემკულია მშვენიერი ბაღებით და იმისთანა ხეებით არის სავსე, რომლებიც ამშვენებენ ბაღებს და ჩრდილსა და სიგრილეს ავრცელებენ. თბილისი ერთ-ერთი საუკეთესო და უმშვენიერესი ქალაქია...".

ამ ცნობითაც დასტურდება, რომ თბილისის მიდამოებში სინესტის მოყვარული ჯიშები ყოფილა გავრცელებული. ამასვე ადასტურებს XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი, რომელიც თავის შრომაში „აღწერა სამეფოისა საქართველოსა" აღნიშნავს: „გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი ყოვლისა ხილითა და ყვავილითა სავსე. სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და მხეცთა.

თბილისის გარშემო ბევრი სხვადასხვა ჯიშის ხე შეიძლება დავრგოთ, მაგალითად, შავი ფიჭვი, ელდარისა და ჩვეულებრივი ფიჭვი, აგრეთვე წიწვიანებიდან ღვია, რომელიც სიმშრალეს კარგად იტანს, ფოთლოვანი ჯიშებიდან მუხა, იფანი, აკაკი, სოფორა, ოქროს წვიმა, კევის ხე, შინდი, კუნელი, თელა, თეთრი აკაცია, ვერხვი, საპნის ხე, ნეკერჩხალი და სხვ. ჩამოთვლილი ჯიშები სულ 353 ჰექტარამდე გაშენდება.

ტყის გაშენება წარმოებს თესვით და დარგვით. თესვით ტყის გაშენება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არ არის თესლის გადაჭარბებული სინესტით დალპობის ან ზედმეტი სიმშრალით გახმობის საშიშროება. თბილისის პირობებში დღემდე ტყის გაშენება რგვით ხდებოდა, რადგან აქაური ჰავისა და ნიადაგის პირობებისათვის ეს მეთოდი უფრო საიმედოდ არის მიჩნეული. ამასთან რგვა უფრო ძვირი და შრომატევადი სამუშაოა. გამოცდილება გვიკარნახებს, რომ თბილისის პირობებში არის ისეთი მიკროუბნები, სადაც სავსებით მიზანშეწონილია ტყის თესვით გაშენება. ამიტომ ეს მეთოდი მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, მაგალითად, თელეთის მთის ფერდობებზე და სერებზე, კრწანისის ფერდობზე. ტყის გაშენება 1925-28 წლებში წარმოებდა როგორც რგვით, ისე თესვითაც. ითესებოდა კაკალი, კევის ხე, სოფორა, აკაკი, აილანტუსი, პანტა, რაც კარგ შედეგს გვაძლევდა. კაკალმა ერთი წლის მანძილზე სიმაღლით 70 სანტიმეტრი მოიმატა, კევის ხემ—45 სანტიმეტრი, სოფორამ—25 სანტიმეტრი, პანტამ—20 სანტიმეტრი.

ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1950 წლის 4 მარტს ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა: „დიდი გაქანება ეძლევა თბილისის მიდამოებში ტყის გაშენების სამუშაოებს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ქალაქის გარშემო 500 ჰექტარზე მეტ ტყეს გავაშენებთ. უახლოეს 5 წელიწადში ქალაქის მომიჯნავე მიწებზე რამდენიმე ათასი ჰექტარი ტყის მასივები გაშენდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის თბილისის წყალსაცავის ავსება,—გასაგები გახდება, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ სამუშაოებს ჩვენი ქალაქის ჰავის გაუმჯობესებისათვის. ტყის გაშენებითა და დიდი წყალსატევების შექმნით თავიდან აცილებული იქნება თბილისის მდებარეობის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები — მომიჯნავე მიწებზე მცენარეულობის უქონლობა და ტენის ნაკლებობა".

დასახული პროგრამის შესრულებისათვის საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა, დავრგოთ, დავთესოთ სულ მეტი და მეტი მცენარე, გავაშენოთ თბილისის გარშემო ახალი ტყეები.

ა. მარჯანიშვილი
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე

სტახანოვური ბრიგადებიდან სტახანოვურ საამქრომდე

კამვოლური საამქრო ყველაზე დიდია თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში. იგი ამზადებს იმ ნართის 75 პროცენტს, რაც ფაბრიკას სჭირდება. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე საამქროს კოლექტივმა ამოცანად დაისახა მიეღწია რიტმული მუშაობისათვის, სისტემატურად გაეზარდა და გადაჭარბებით შეესრულებინა დავალებანი, წლითიწლობით მეტი ზეგეგმითი პროდუქცია მიეცა სამშობლოსათვის.

1947 წელს საამქროში პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს—ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულეს წლიური გეგმა. მომდევნო წლებში უფრო გააძლიერეს მუშაობა: 1948 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 104.300, ხოლო 1949 წელს — 155.958 კილოგრამი ნართი, ამასთან 99,35 პროცენტამდე გაზარდეს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და საგრძნობი რაოდენობის ნედლეული დაზოგეს.

საამქროს კოლექტივმა მაღალნაყოფიერი შრომით 3 წელიწადსა და რვანახევარ თვეში შეასრულა ხუთწლიანი გეგმა, 1949 წლის ბოლოსათვის 30 პროცენტით გადააჭარბა საშუალო თვიური გამოშვების ომამდელ (1940 წლის) დონეს და ახალი ხუთწლედით გათვალისწინებულ დონეს მიაღწია.

ასეთი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის კამვოლურ საამქროს მიენიჭა სტახანოვური საამქროს, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საამქროს წოდება.

როგორ მიაღწია საამქროს კოლექტივმა ამ გამარჯვებას, როგორ მოაწყო მან მუშაობა?

მოწყობილობის გამართულობა გამარჯვების საწინდარია

პირველ რიგში საამქროს კოლექტივმა მუშაობა გაშალა საწარმოო მოწყობილობის წესრიგზე მოსაყვანად, მისი გამართულობის უზრუნველსაყოფად. ომიანობის პერიოდში დროულად ვერ ახერხებდნენ მოწყობილობის მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. ამან გამოიწვია მისი გაცვეთა და ნაწილობრივ მოშლა, რასაც შედეგად მოჰყვა მოწყობილობის ნაყოფიერების შემცირება. 1946 წლისათვის მოწყობილობა-დანადგართა ნაყოფიერება ომამდელი პერიოდის მხოლოდ 96 პროცენტს შეადგენდა.

1947 წლიდან საამქროში მტკიცედ დაინერგა მოწყობილობის მაღალხარისხოვანი მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების ზუსტი გრაფიკი. ამასთან დროულად აწარმოებენ დანადგარების წმენდასა და ზეთვას, უვლიან და უფრთხილდებიან მას, პერიოდულად ახორციელებენ დანადგართა პროფილაქტიკურ შემოწმება-შეკეთებასაც.

მოწყობილობის გამართულ მუშაობას დიდად უწყობს ხელს ერთი ცვლის მიერ მეორისათვის მოწყობილობის ჩაბარების საამქროში შემოღებული წესი. ამ მიღება-ჩაბარების დროს სპეციალურ ჟურნალში აღნიშნავენ აღმოჩენილ ტექნიკურ დეფექტს, დაუყოვნებლივ იღებენ ზომებს მის აღმოსაფხვრელად. ამას შედეგად მოჰყვა გაუპიროვნების ლიკვიდაცია და მოწყობილობა-დანადგართა გამართულობაში ყველა მომუშავის დაინტერესება. საამქროს პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით 1948 და 1949 წლებში მანქანა-დანადგართა საზოგადოებრივმა დათვალიერებამ კიდევ მეტად წასწია წინ ეს საქმე.

შედეგები თავისთავად მეტყველებენ: ომამდელ 1940 წელთან შედარებით 22 პროცენტით გაზარდეს მოწყობილობის ნაყოფიერება და ახლა ყოველ 1.000 თითისტარზე 226 კილოგრამით მეტ ნართს ამზადებენ საათში. დიდად შეამცირეს მოწყობილობის მოცდენა, გეგმით გათვალისწინებულ 3,5 პროცენტის ნაცვლად იგი დაიყვანეს 1,6 პროცენტამდე.

სოციალისტური შეჯიბრების გაშლით...

მარტო მოწყობილობის გამართულობა როდი უზრუნველყოფს მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებას. ამისათვის საჭიროა იმ ადამიანების თავდადებული მუშაობა, რომლებიც ამ მოწყობილობას უვლიან და ამუშავებენ. ამიტომაც საამქროს ადმინისტრაციამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა შეთანხმებული მუშაობით დარაზმეს საამქროს მთელი კოლექტივი მაღალნაყოფიერი, პატრიოტული შრომისათვის, შექმნეს ისეთი პირობები, რომ თვითეულ ოსტატს, ოსტატის თანაშემწესა და მუშას შეეთვისებინა შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ჩვევა. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა შრომის სოციალისტური ფორმების ფართოდ გამოყენებამ, სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლამ. საამქროში ყველა, დაწყებული საამქროს უფროსით და დამთავრებული დამლაგებლით, ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ამჟამად საამქროში არ არის ისეთი მუშა, რომლის საწარმოო მაჩვენებელი 110 პროცენტზე დაბალი იყოს. 39 მუშა ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს, ხოლო 6 წარჩინებული სტახანოველი სისტემატურად 200 პროცენტზე მეტად ანაღდებს დავალებებს. საამქროში კარგად მოაწყეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელება.

პირველი რიგის ამოცანა

„ნართის ხარისხის გაუმჯობესება უდრის მისი გამოშვების გადიდებას, დამატებით ნედლეულის მასალებისა და სამუშაო ძალის დაუხარჯავად" — ასე მეტყველებს საამქროში გაკრული პლაკატი, რომელიც გამოხატავს საამქროს მთელი კოლექტივის განწყობილებას. კრასნოხოლმელი ფეიქრის ა. ჩუტკიხის შესანიშნავმა თაოსნობამ, რომელმაც დასაბამი მისცა მასობრივ მოძრაობას საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად, მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა საამქროს კოლექტივში. „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის" წოდების მოსაპოვებლად შეჯიბრებაში ჩაება 26 ბრიგადა. ბევრმა მათგანმა შესანიშნავი წარმატებაც მოიპოვა. მაგალითად, ოსტატის თანაშემწის დ. ნოზაძის ბრიგადა გეგმას 118 პროცენტით ასრულებს და იძლევა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას. ასევე საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ ოსტატის თანაშემწეების ნ. კოშკაძის, გ. ხითურიძის, ქ. ანდღულაძის, სტახანოველ ვ. კორშიკოვას ბრიგადები. პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში ჩაბმულია საამქროს ყველა მუშა. ბრიგადის წევრები თვალყურს ადევნებენ და ეხმარებიან ერთმანეთს.

ნართის ხარისხისათვის ბრძოლას საამქროში იწყებენ პირველივე საწარმოო პროცესიდან და მხოლოდ მაშინ ამთავრებენ, როცა კოჭებსა და მასრებზე დახვეულ ნართს საწყობს ჩააბარებენ.

ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვა უზრუნველყოფს პროდუქციის მაღალ ხარისხს

კამვოლურ საამქროში ტექნოლოგიური პროცესი მეტად თავისებურია. საკმარისია აქ, თუნდაც ერთმა მომუშავემ დაარღვიოს ტექნოლოგიური დისციპლინა და მისი ცუდი მუშაობა დაუყოვნებლივ მოახდენს გავლენას მთელ საწარმოო პროცესზე. ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევისას ნართი დაბალი ხარისხისა გამოდის, მომდევნო პროცესებისას ეს ნართი შეერევა ხარისხოვან ნართს და მასაც გააუვარგისებს. სწორედ ამიტომ საამქროს ხელმძღვანელებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას ტექნოლოგიურ პროცესთა მთელ ნაკადზე, და ამ მიმართულებით მთელი კოლექტივი დარაზმეს. საქმე ისე მოაწყეს, რომ ტექნოლოგიის მცირედი დარღვევაც კი რომელიმე საწარმოო უბანზე დაუყოვნებლივ ვლინდება და დაშვებული წუნის ლოკალიზაცია ადგილზევე ხდება.

მატყლის ჩეჩვა და დართვა საგრძნობლად რთული ტექნოლოგიური პროცესებია. ამ ოპერაციებს რთული და ამასთან ერთად სათუთი მანქანები ასრულებენ. ავიღოთ მაგალითად მრგვალი სავარცხლისებრი საჩეჩი მანქანა. მას ნემსების ისეთი ხშირი რიგი აქვს, რომელიც მტკიცე ღობეს ქმნის და ამ ღობეში მხოლოდ მატყლის წვრილი ბოჭკოები გაეტევა. ასეთი ღობე სიგრძის მიხედვით დახარისხებასთან ერთად მატყლის ბოჭკოებს წმენდს ქერცლის, კვანძების და ყოველგვარი ზედმეტი მინარევისაგან. ერთი ნემსის ამოვარდნაც კი გამოიწვევს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, რადგან ნემსთა შორის გადიდებულ მანძილში ბოჭკოს გაყვება მექანიკური მინარევი. მეორე მხრივ მანვე შეიძლება გამოიწვიოს ნედლეულის გადახარჯვაც. ასე სათუთია თითქმის ყველა საჩეჩი და სართავი მანქანა, რომელთა გამართული მუშაობა და მათგან მაქსიმალური ეფექტის მიღება დამოკიდებულია ცალკეულ მექანიზმთა კარგ გაწყობილობაზე. ამ მოსაზრებით კამვოლური საამქროს მჩეჩავები და მრთველები თვალისჩინივით უფრთხილდებიან მანქანებს, ზუსტად იცავენ ტექნოლოგიურ რეჟიმს, მანქანა-დანადგართა რეგულირებისა და სახაზო კვების წესებს, მატყლს ახარისხებენ საწარმოო უბნების მიხედვით, აღწევენ ერთნაირი სისქის ლენტის მიღებას, მის ნორმალურად გაჭიმვას, მაღალხარისხოვნად გრეხასა და დართვას, შეაქვთ გაუმჯობესება ამ ტექნოლოგიურ პროცესებში.

პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლასა და ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვაში საამქროს კოლექტივს დიდად ეხმარება კარგად მოწყობილი ტექნიკური კონტროლი. საამქროში შემოღებულია ორი სახის ტექნიკური კონტროლი: პირველი — გამორჩევითი კონტროლი, როცა კონტროლიორები ცვლაში 2-3-ჯერ ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს ყველა საწარმოო უბნის მიხედვით. ეს კონტროლი ხორციელდება მოულოდნელად; არც ოსტატმა და არც მისმა თანაშემწემ არ იცის, როდის გამოჩნდება კონტროლიორი; მეორე — გაწყობითი კონტროლი, რომელიც ამოწმებს სამუშაოდ ამა თუ იმ მანქანის გაწყობის მდგომარეობას.

მუშაობის ამგვარად მოწყობის შედეგად საამქროს კოლექტივმა 1949 წლის ბოლოსათვის 99,35 პროცენტამდე გაზარდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 99,6 პროცენტამდე აიყვანა ეს მაჩვენებელი. ამასთან დიდად გაუმჯობესდა ნართის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. კამვოლურ საამქროში დამზადებული ნართის წყვეტიანობა არტიკულების მიხედვით 2,3 და 5-ჯერ შემცირდა ქსოვის დროს.

დანაზოგი ნედლეულით — ზეგეგმითი პროდუქცია

საამქროს კოლექტივი წარმატებით იბრძვის ნედლეულის ეკონომიისათვის. ნედლეულის დაზოგვასთან განუყრელად დაკავშირებულია გეგმის გადაჭარბებით შესრულება. შარშან საამქროში 142.803 კილოგრამი მატყლი დაზოგეს. ეს მატყლის ისეთი რაოდენობაა, რომლის მისაღებად წელიწადში 70.000 სული ცხვრის მოვლა და შენახვაა საჭირო. ამ მატყლით შეიძლება 100 ტონა ნართის დამზადება, 150.000 მეტრი ქსოვილის მოქსოვა. ნედლეულის დაზოგვის მხრივ ასეთივე კარგი მაჩვენებლები მოიპოვა საამქრომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც.

ნედლეულის ეკონომიისათვის საამქროში ორი მიმართულებით იბრძვიან: ერთი მხრივ, აუმჯობესებენ ტექნოლოგიურ პროცესს და უზრუნველყოფენ მოწყობილობის გამართულობას; მეორე მხრივ, ამცირებენ ნარჩენებს და ნერგავენ ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვის ჩვევას. ოსტატმა შ. გოგორიშვილმა საჩეჩ მანქანებზე შარშან 14 ტონა და მიმდინარე წლის სამ თვეში 1,3 ტონა მატყლი დაზოგა. ამას მან მიაღწია საჩეჩი მანქანების გამართული მუშაობით, იმით, რომ მისი ბრიგადის მჩეჩავები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ნემსის გარნიტურის გალესვას და სიმახვილეს. ოსტატმა ა. ქავთარაძემ გარკვეული სიგრძის მატყლის ბოჭკოების მაქსიმალური გამოყენებით მრგვალ სავარცხლისებრ საჩეჩ მანქანებზე შარშან 40 ტონა და წელს 3 თვეში 6,6 ტონა მატყლი დაზოგა. დიდი რაოდენობის ნართი დაზოგეს აგრეთვე უფროსმა ოსტატმა გ. შევჩენკომ, ოსტატის თანაშემწეებმა გ. ხითურიძემ და ქ. ანდღულაძემ.

კამვოლური რთვის თბილისელი ოსტატები ამ დღეებში მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოველი სტახანოველების ლ. კორაბელნიკოვას და თ. კუზნეცოვის თაოსნობას და გადაწყვიტეს ყოველ თვეში ერთი დღე იმუშაონ დაზოგილი ნედლეულით.

* * *

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, დიდი რაოდენობით ნედლეულის დაზოგვას, გეგმის გადაჭარბებით შესრულებას და შრომის მაღალ ნაყოფიერებას, რომელმაც 20 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს, საამქროში მიაღწიეს შრომის სწორი ორგანიზაციით, სამუშაო ადგილის მოწყობისადმი განსაკუთრებული ყურადღებით, მჩეჩავების, მრთველებისა და ყველა მომუშავისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნით, წარმოების მაღალი კულტურისათვის განუხრელი ბრძოლით, მუშა-გამომგონებლების, რაციონალიზატორებისა და ინჟინრების შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციით. საამქროს კოლექტივმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა პირველი კვარტალი და ახლა წარმატებით იბრძვის საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად.

ამ მოწინავე საამქროს კოლექტივის მუშაობის გამოცდილება ფართოდ უნდა გავავრცელოთ ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო და სხვა საწარმოებში.

მ. აროშიძე

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ამერიკის შეერთებული შტატები

ვაშინგტონი, 21 აპრილი. (საკდესი) ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი აჩესონი გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე და წაიკითხა განცხადება ახალი საბჭოთა ნოტის გამო, რომელიც შეეხება ლიბავაზე მომხდარ ინციდენტს. აჩესონმა გაიმეორა მოჭორილი მტკიცებანი, რასაც შეიცავს ამერიკის 18 აპრილის ნოტა. როცა კორესპონდენტი შეეკითხა, რატომ მიმართეს შეერთებულმა შტატებმა დანიასა და შვეციას დახმარებისათვის ამერიკული თვითმფრინავის საძებნელადო, აჩესონმა უარი თქვა პასუხი გაეცა ამ კითხვაზე.

ნიუ-იორკი, 22 აპრილი. (საკდესი). ამერიკის მთავრობის პასუხი სსრ კავშირის მთავრობის ნოტაზე კანონიერად იწვევს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრ გაოცებულ შეკითხვას.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, სენატორმა კეინმა (რესპუბლიკელი, ვაშინგტონის შტატიდან) აჩესონს მიმართა წერილით, რომელშიც თხოვს მას უპასუხოს „ნათელი და გასაგები ენით“ ამერიკის ნოტასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კითხვებზე. კეინი აცხადებს, თუ ამ კითხვებზე პასუხი არ იქნა მიღებული, „სერიოზული ეჭვი უნდა დარჩეს და დარჩება კიდეც იმის შესახებ, თუ რა მოხდა ფაქტიურად“.

კერძოდ, კეინი იძლევა შემდეგ შეკითხვებს: როგორი იყო ამერიკული თვითმფრინავის ადგილდანიშნულება მას შემდეგ, რაც იგი ვისბადენიდან (გერმანია) გაფრინდა; მიღებული იყო თუ არა ნებართვა უცხო ტერიტორიაზე გადასაფრენად; რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ მომავალში თავიდან იქნას აცილებული ამგვარი ინციდენტები; შეუძლია თუ არა აჩესონს სავსებით უარყოს იმის შესაძლებლობა, რომ თვითმფრინავი შეიძლებოდა აფეთქებულიყო ან ნაწილ-ნაწილ დაშლილიყო ფრენის დროს რაიმე ტექნიკური უწესივრობის შედეგად; დაფრინავენ თუ არა ამერიკის არასამხედრო თვითმფრინავები ბალტიის ზღვის რაიონში და სხვ.

„მანამდე, — წერს კეინი, — სანამ ყველა არ მიიღებს კონკრეტულ პასუხებს, სახელმწიფო დეპარტამენტს არ შეუძლია იქონიოს იმ ნდობის იმედი, რომლითაც იგი უნდა სარგებლობდეს ამერიკელი ხალხის მხრივ... თქვენმა საპროტესტო ნოტამ უპასუხოდ დატოვა ბევრი გონიერული კანონიერი შეკითხვა, რომლებიც, უეჭველია, ბევრ ამერიკელს წამოეჭრა“.

პოლონეთი

ვარშავა, 23 აპრილი. (საკდესი). პოლონური გაზეთები ვრცელ კომენტარს უკეთებენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მთავრობებს შორის ნოტების გაცვლას ამერიკის თვითმფრინავის მიერ საბჭოთა კავშირის საზღვრის დარღვევის გამო.

გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს, რომ უხეში პროვოკაცია, რომელიც ამერიკის თვითმფრინავმა ჩაიდინა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მეორედ არის მხილებული ამერიკის ნოტაზე საბჭოთა მთავრობის გამოქვეყნებულ პასუხში.

ამერიკის ნოტის შინაარსი, რომელიც არსებითად ადასტურებს სსრ კავშირის საზღვრის დარღვევას, შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ „ტოტალური დიპლომატიის“ ავტორებმა მთლიანად გადაიღეს თავიანთ ჰიტლერელ წინამორბედთა სტილი და მეთოდები.

მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდნენ ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც ცდილობენ დაიწყონ ანტისაბჭოთა ისტერიის ახალი კამპანია, მართლაც სინანულის ღირსია. სავსებით ზუსტად არის გამორკვეული, რომ აღნიშნული თვითმფრინავი იყო ოთხმოტორიანი სამხედრო თვითმფრინავი „ბ-29“ და რომ, გადაიფრინა რა საბჭოთა ტერიტორიაზე, მან პირველმა აუტეხა სროლა საბჭოთა ავიაგამანადგურებლებს. სრულიად უდავოდ გამორკვეულია, და ეს საკმაოდ ამხილებს ამერიკული პრესის მთელი იმ კამპანიის სიცრუესა და ფარისევლობას, რომ ეგრეთწოდებული „მხსნელი რაზმები“, რომელთა ამოცანაა დაკარგული თვითმფრინავის ძებნა, დანიაში ჩაიყვანეს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ოთხმოტორიანი თვითმფრინავი „ბ-29“ გაფრინდებოდა ლიბავის მიმართულებით.

ამ ფაქტების მიხედვით, განაგრძობს გაზეთი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ერთიმეორის გამამართლებელი განმარტებანი ოფიციალური და ნახევრადოფიციალური წყაროებისა, რომ „თვითმფრინავი შეიარაღებული არ ყოფილა“ (მაგრამ ისროდა), რომ მას „კურსი შეეშალა“ (შეცდომა მხოლოდ რაღაც 350 მილით და ამასთან ისეთი ფართოდ რეკლამირებული ავიაციის მიერ, როგორიც ამერიკულია), რომ იგი „აწარმოებდა სასწავლო ფრენას“ (სახელდობრ „სასწავლოს“ საბჭოთა ტერიტორიაზე) და სხვა ფანდები.

ამ ფაქტების მიხედვით, აგრეთვე ამერიკის ნოტის შინაარსიდან ნათელი ხდება, რომ ლიბავაზე გაფრენა აშკარა პროვოკაცია იყო, რისთვისაც ამერიკის მთავრობას არათუ არ სურს პასუხისმგებლობა იკისროს, არამედ ცდილობს მთელი პასუხისმგებლობა ინციდენტისათვის საბჭოთა კავშირს დააკისროს.

მაგრამ იმპერიალისტები მოტყუვდნენ, თუ ფიქრობდნენ, რომ ეს პროვოკაცია რაიმე სარგებლობას მოუტანდა „ტოტალურ დიპლომატიას“. აღშფოთების მძლავრმა ტალღამ, რომელიც მოედო ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს საერთაშორისო სამართლის ამ აშკარა დარღვევასთან დაკავშირებით, ახალი ბიძგი მისცა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის განვითარებას. პროვოკაციის საპასუხოდ სსრ კავშირის მიერ გამოჩენილმა სიმშვიდემ, ღირსებამ და თავისი ძალის შეგნებამ უფრო მეტი რწმენა ჩაუნერგა მშვიდობისათვის ასეულ მილიონობით მებრძოლს. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, კმაყოფილებით კითხულობს საბჭოთა ნოტაში მოყვანილ ინსტრუქციას სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მფრინავებისათვის: „უცხო თვითმფრინავის მიერ სსრ კავშირის საზღვრების დარღვევისა და საბჭოთა ტერიტორიაზე მისი შეჭრისას საბჭოთა მფრინავები ვალდებული არიან აიძულონ იგი დაეშვას საბჭოთა აეროდრომზე, ხოლო წინააღმდეგობის შემთხვევაში — სროლა აუტეხონ მას“.

მშვიდობის ყველა მომხრე მთელ მსოფლიოში, ყველა პოლონელი სიხარულითა და ნდობით მიესალმება ამ სიტყვებს, როგორც სიფხიზლის გამოხატულებას და იმის დადასტურებას, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს მშვიდობის საქმეს.

რუმინეთი

ბუქარესტი, 23 აპრილი. (საკდესი). გაზეთები კომენტარს უკეთებენ საბჭოთა მთავრობის პასუხს ამერიკის შეერთებული შტატების ნოტაზე ამერიკის თვითმფრინავის მიერ საბჭოთა საზღვრის დარღვევის გამო.

გაზეთი „სკინტეია“ სტატიაში სათაურით „ოკეანესგაღმელი ავანტიურისტები თავს ვერ აარიდებენ პასუხისმგებლობას“ წერს:

„შვიდი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ ამერიკის მთავრობამ დაამთავრა რედაქტირება ოფიციალური პასუხისა საბჭოთა კავშირის 11 აპრილის ნოტაზე. ეს პასუხი ზუსტად ასახავს ამერიკის პოლიტიკას. განა შეიძლებოდა სხვა რაიმეს მოლოდინი გვქონოდა ამ ადამიანებისაგან, რომელთა საქმიანობა ემყარება სიცრუეს, ცილისწამებას, ორპირობას და მიმართულია ომის დანაშაულებრივი მომზადებისაკენ?

იმის ნაცვლად, რომ პასუხი აგოს ამერიკის ავიაციის უმაგალითო თავხედური პროვოკაციული აქტისათვის, ვაშინგტონის მთავრობა ცდილობს დაამახინჯოს და უარყოს ნათელი და ზუსტად დადგენილი ფაქტები“.

შემდეგ გაზეთს მოჰყავს სსრ კავშირის მთავრობის პასუხის ის ნაწილი, რომელშიც ლაპარაკია ინსტრუქციის შესახებ საბჭოთა მფრინავებისათვის იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე უცხო თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა საზღვრები, და წერს:

„ეს კატეგორიული გაფრთხილება ჯეროვნად უნდა გახდეს ოკეანესგაღმელი განგსტერებისათვის, რომლებიც აღარ ფარავენ თავიანთ აგრესიულ მისწრაფებებს. დაე იცოდნენ მსოფლიო ბატონობის ამერიკელმა პრეტენდენტებმა, რომ საბჭოთა ადამიანების სიფხიზლე უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე. ჩვენი ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად მიესალმება საბჭოთა მთავრობის გონივრულ და ძლიერ პასუხს, საბჭოთა მთავრობისა, რომელიც იცავს არა მარტო თავის ინტერესებს, არამედ მშვიდობისა და უშიშროების საქმესაც მთელ მსოფლიოში.

ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმე უძლეველია“.

ამერიკელ იმპერიალისტთა პროვოკაციულმა მოქმედებამ, აცხადებს გაზეთი „რომინია ლიბერა“, ერთხელ კიდევ ამხილა მათი ცინიკური აგრესიული ზრახვები. ამერიკის მთავრობის ცდა — მოეწყო „პროტესტის“ სიმულაცია — ავსებს ამ მხილებას... „ცივი ომის“ ამ საზიზღარმა გამოვლინებამ მშვიდობისმოყვარე ადამიანებს განუმტკიცა ღრმა სიყვარული სსრ კავშირისადმი, გაუძლიერა სიძულვილი და სიფხიზლე ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მანევრებისადმი.

სტატიაში სათაურით „იმპერიალისტ პროვოკატორთა უსირცხვილო პრეტენზიები“ გაზეთი „ეპოკა სინდიკალა“ წერს:

„საქმე ეხება გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ერთ-ერთი უსირცხვილო პრეტენზიაა, რასაც ამერიკელმა იმპერიალისტებმა უკვე დიდი ხანია შეგვაჩვიეს. საქმე ეხება აშკარა პროვოკაციულ მანევრს, რომლის მიზანია უფრო მეტად გაამწვავოს საერთაშორისო ურთიერთობა. გიჟური შეიარაღების კამპანიას და იმპერიალიზმის ავაზაკურ პოლიტიკას სჭირდება ასეთი პროვოკაციული მანევრები. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა ხელოვნურად შექმნას ნერვების ატმოსფერო, ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს პროვოკაციულ მაქინაციებს, იმ მონოპოლიათა მოგების გადიდებას, რომლებიც შეიარაღებას ამზადებენ, ატმოსფეროს, რომელიც „იმედს“ ჩაუნერგავს ყველა ჯურის საქმოსნებს, რომელთაც გარდუვალი ეკონომიური კრიზისი მოელით...

საბჭოთა მთავრობის მტკიცე და ღირსეულ პასუხს იწონებენ მშვიდობის მომხრეები მთელ მსოფლიოში, ყველა პატიოსანი ადამიანი, რომლებიც უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშვიდობისა და თავისუფალი ცხოვრებისათვის საბრძოლველად, იმპერიალიზმის მიერ ჩადენილი ან განზრახული დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

შვეცია

სტოკჰოლმი, 22 აპრილი. (საკდესი). სტოკჰოლმის ყველა გაზეთმა დიდი სათაურებით პირველ გვერდზე გამოაქვეყნა დღეს სსრ კავშირის მთავრობის საპასუხო ნოტა ამერიკის მთავრობისადმი.

გაზეთმა „ნიუ დაგმა“ საბჭოთა მთავრობის ნოტის სრული ტექსტი დაბეჭდა მთელ პირველ გვერდზე გადაჭიმული სათაურით: „მფრინავი სიმაგრე“ და არა „პრაივიტირის“ ტიპის თვითმფრინავი ეწეოდა საბჭოთა საზღვრის ფოტოგრაფირებას. საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობა საიმედოდ არის დაცული“.

„ნიუ დაგი“ კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის ნოტას და წერს: „საპასუხო ნოტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ამერიკის სარდლობის კოპენჰაგენელი წარმომადგენლის კაპიტან კლინგლერის მიერ 18 აპრილს გაკეთებულ განცხადებას. კლინგლერმა გასინჯა რეზინის ნავი, რომელიც ინგლისის ხომალდმა „ბიჩლენდმა“ ბალტიის ზღვაში იპოვნა, და გამოარკვია, რომ ეს ნავი იმავე ტიპისაა, როგორიც დაკარგულ ამერიკულ თვითმფრინავზე იყო. მაგრამ, აღნიშნა კლინგლერმა, არ არის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ნაპოვნი ნავი სწორედ ამ თვითმფრინავს ეკუთვნის.

ამრიგად, განაგრძობს გაზეთი, კაპიტანმა კლინგლერმა ვერ უარყო იმის შესაძლებლობა, რომ ნაპოვნი რეზინის ნავი გადმოვარდნილი იყო არა „პრაივიტირის“ ტიპის თვითმფრინავიდან, რომელსაც „ეძებენ“, არამედ სხვა თვითმფრინავიდან. ეს მოწმობს, რომ ჰაერში „ბალტიკაზე“ იმყოფებოდა სხვა თვითმფრინავი, სახელდობრ თვითმფრინავი „ბ-29“ („მფრინავი სიმაგრე“), რომელმაც დაარღვია საბჭოთა კავშირის საზღვრები“.

დანია

კოპენჰაგენი, 22 აპრილი. (საკდესი). კოპენჰაგენის დღევანდელმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების ნოტაზე ამერიკის თვითმფრინავის მიერ საბჭოთა საზღვრის დარღვევის შესახებ.

გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის ნოტაზე წარმოადგენს განმეორებითს მკვეთრ პროტესტს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევის წინააღმდეგ და, გარდა ამისა, ზუსტად განსაზღვრავს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ მოქმედებისათვის და ამერიკელი მფრინავების დაღუპვისათვის.

უცხოეთში ფართოდ აღნიშნეს დიდი ლენინის დაბადების 80 წლისთავი

ჩინეთი

პეკინი, 23 აპრილი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 80 წლისთავის დღე ფართოდ აღინიშნა პეკინში, ტიანძინსა და ჩრდილოეთ ჩინეთის სხვა ქალაქებში. მთავრობის ყველა დაწესებულებაში, ბევრ სასწავლებელსა და ჯარის ნაწილში გაიმართა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ცენტრალურმა საზოგადოებამ პეკინში გამართა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ სხვადასხვა ორგანიზაციების 700-ზე მეტი წარმომადგენელი და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრები.

ბულგარეთი

სოფია, 22 აპრილი. (საკდესი). როგორც სოფიის რადიო გადმოგვცემს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტის, ბულგარეთ-საბჭოთა საზოგადოებების კავშირის სოფიის სახალხო საბჭოს და საქალაქო ორგანიზაციის ინიციატივით დღეს საღამოს სოფიაში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მშრომელი კაცობრიობის უკვდავი მასწავლებლისა და ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 80 წლისთავს. მოხსენება ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ენჩო სტაიკოვმა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი დეპეშა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.

გერმანია

ბერლინი, 22 აპრილი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 80 წლისთავი.

ამ თარიღის აღსანიშნავად დიდი ბერლინის დემოკრატიულმა მაგისტრატმა დაადგინა ლანდსბერგერ შტრასეს დაერქვას ლენინის ხეივანი, ხოლო ლანდსბერგერპლაცს — ლენინის მოედანი. ამასთან დაკავშირებით დღეს დიდი მიტინგი გაიმართა, რომელიც გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინისადმი მეგობრულ გრძნობათა დემონსტრაციად.

მონღოლეთი

ულან-ბატორი, 22 აპრილი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორში გაიმართა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებისა და მონღოლეთის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა კრება, მიძღვნილი მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 80 წლისთავისადმი.

პრეზიდიუმში არიან: მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ცედენბალი, ცენტრალური კომიტეტის მდივნები — დამბა, ჩოიჯამცი და სოსორბარამა, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე სურუნჟაბი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პრიხოდოვი და საბჭოთა ელჩის დიპლომატიური შემადგენლობა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სოსორბარამმა.

როდესაც მან ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს ამხანაგ სტალინს უსურვა დღეგრძელობა, ამას კრების მონაწილენი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ყველა მონღოლურმა გაზეთმა დღეს ვ. ი. ლენინის დაბადების 80 წლისთავს უძღვნა მოწინავე წერილები და მთელი რიგი სხვა მასალები, აგრეთვე პირველ გვერდზე მოათავსა ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი ინახულეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა და თანამშრომლებმა

საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით 22 აპრილს პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა მ. ნაშკოვსკიმ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ბ. ლაშტოვიჩკამ, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა დიუ ენ ხამ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ქ-ნმა ს. ბლაგოევამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ვან ძია-სიანმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ა. სობეკმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ს. ბუგიჩმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ნ. იდამჟაბმა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა ვ. ნატანაილიმ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაურმა ბ-ნმა რ. აპელტმა, აგრეთვე ამ ქვეყნების საელჩოებისა და მისიების წევრებმა და თანამშრომლებმა ინახულეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და მიიტანეს გვირგვინები თავიანთი საელჩოებისა და მისიების სახელით.

გარდა ამისა, პოლონეთის საელჩომ მიიტანა გვირგვინი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. ჩეხოსლოვაკიის საელჩომ — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ კ. გოტვალდის სახელით, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის სახელით; ბულგარეთის საელჩომ — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და რუმინეთის საელჩომ — რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. (საკდესი).

ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

თელ-ავივი, 23 აპრილი. (საკდესი). გაზეთმა „კოლ გაამმა“ გამოაქვეყნა ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მეორე წლისთავის გამო.

მოწოდება აღნიშნავს, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის პირველი დღეებიდანვე ისრაელის ხალხებს ბრძოლა მოუხდათ „ფეოდალურ მმართველთა თავდასხმის წინააღმდეგ“, რაც ინგლისელმა და ამერიკელმა იმპერიალისტებმა მოაწყეს“.

„დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ,—ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში, — ისრაელის ხალხებს დაარწმუნა, რომ ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები ჩვენი დაუძინებელი მტრები არიან. ისრაელის ხალხის მასები არასოდეს არ დაივიწყებენ, თუ რა გადამწყვეტი პოლიტიკური და ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირმა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა ისრაელის სახელმწიფოს შექმნის საქმეს. ისრაელის ხალხის მასები, მუშათა კლასი და ახალგაზრდობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები პალესტინის ებრაელი და არაბი მოსახლეობის ერთგული მეგობრები არიან.

ისრაელის ხალხის მასები წინააღმდეგობას გაუწევენ იმას, რომ ისრაელი ხმელთაშუა ზღვის ანტისაბჭოთა ბლოკში ჩააბან. ისრაელის ხალხის მასები არასოდეს არ დაუჭერენ მხარს ომს საბჭოთა ხალხების წინააღმდეგ და ყოველი ძალღონით გაუწევენ წინააღმდეგობას ისრაელის ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ბაზების შექმნას.

დამოუკიდებლობის დღეს ისრაელის ხალხი მთავრობისაგან მოითხოვს — მხარი დაუჭიროს მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის მოთხოვნას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ“.

ფინეთის მთავრობის წევრებმა ხელი მოაწერეს მოწოდებას ატომური ბომბის აკრძალვის შესახებ

ჰელსინკი, 23 აპრილი. (საკდესი). დემოკრატიულმა პრესამ გამოაქვეყნა ცნობა ფინეთში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებისათვის ხელმოწერის შეგროვების შესახებ.

მოწოდებას პირველად ხელი მოაწერეს პრემიერ-მინისტრმა კეკონენმა და 12 მინისტრმა.

გაზეთი „ტიუეკანსან სანომატი“ აღნიშნავს, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებისა და რეაქციული ბურჟუაზიის ყოველი ცდის მიუხედავად — გამოიყენონ კეკონენის მთავრობა როგორც პროამერიკული პოლიტიკის გამტარებელი — ამ მთავრობამ ფინელი ხალხის ფართო მასების ზეგავლენით, რომლებიც მშვიდობის საქმეს იცავენ, შესაძლოდ ვერ მიიჩნია განზე გასდგომოდა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობას.

ჩეხოსლოვაკიის სასამართლოს განაჩენი ამერიკის ჯაშუშების საქმეზე

პრაღა, 22 აპრილი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ჩეხოსლოვაკიის ხალხის მოღალატეებისა და გამცემლების — ამერიკის ჯაშუშების ნეხანსკის, ვალას და მათ თანამონაწილეთა საქმეზე.

სასამართლომ მიუსაჯა: ჩეხოსლოვაკიის არმიის ყოფილ მაიორს, ამერიკის ჯაშუშ ნეხანსკის ჩამოხრჩობა; ვალას — დახვრეტა; შპრახლას — სამუდამო პატიმრობა; დოუბალეკს — 20 წლის, ლორიშს — 25 წლისა და ვაკულოვას— 18 წლის პატიმრობა. სასამართლომ დაადგინა კონფისკაცია უყოს ბრალდებულთა ქონებას.

დეგოლელები ბანდიტურად დაესხნენ თავს კომპარტიის ორგანიზაციის კრებას ქალაქ კემპერში

პარიზი, 23 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტე-დიმანშის“ ცნობით, გუშინ საღამოს დეგოლელები თავს დაესხნენ კომუნისტური პარტიის ქალაქ კემპერის (ფინისტერის დეპარტამენტი) ადგილობრივი ორგანიზაციის კრებას.

ადგილობრივი გარნიზონის ორმოცი პარაშუტისტი, წერს გაზეთი, შეიჭრა კომუნისტური პარტიის კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა საფრანგეთის კავშირის კრების წევრი კომუნისტი ბარბე. ისინი შეეცადნენ არევ-დარევა გამოეწვიათ. როცა მათი ცდა ჩაიშალა, პარაშუტისტები ტრიბუნისაკენ გაექანნენ და ორი გრანატი გადააგდეს. გამოწვეულ პოლიციელებს თავდამსხმელების წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიუღიათ.

პარაშუტისტების თავდასხმამ ქალაქის მოსახლეობაში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

გროსმაისტერთა საერთაშორისო ტურნირი

ბუდაპეშტი, 23 აპრილი. (საკდესი). დღეს შედგა გროსმაისტერთა საერთაშორისო ტურნირის მერვე ტური. ... და ფლორ-სმისლოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ბოლესლავსკი-კოტოვისა და ნაიდორფ-საბოს პარტიები გადაიდო.

შტალბერგმა მოუგო ბრონშტეინს.

ხვალ ტურნირზე გათამაშდება გადადებული პარტიები. მერვე ტურის შემდეგ წინ არის საბჭოთა გროსმაისტერი კერესი, რომელმაც 4,5 ქულა შეაგროვა და აქვს ერთი დაუმთავრებელი პარტია. ბოლესლავსკის აქვს 4 ქულა და ორი დაუმთავრებელი პარტია.

თბილისის სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო სესია

სამშაბათს, 25 აპრილს, საქართველოს სსრ სამხატვრო აკადემიის სააქტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 22) იწყება თბილისის სამხატვრო აკადემიის მეორე სამეცნიერო სესია.

სესიაზე, რომელიც გაგრძელდება 28 აპრილამდე, მოსმენილ იქნება 11 მეცნიერული მოხსენება. 25 აპრილის სხდომაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ ი. მელქაძისა „ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის საკითხი ი. ბ. სტალინის ადრინდელ შრომებში“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ შ. ამირანაშვილისა — „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი X-XI საუკუნის მონუმენტალური ხელოვნების ძეგლების მიხედვით“.

26 აპრილს მოხსენებით გამოვლენ: პროფესორი ა. ქუთათელაძე—„საბჭოთა ბატალური მხატვრობა და კომპოზიციის საკითხები“, არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ჩხიკვაძე „მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი“, უფროსი მასწავლებელი ლ. სუმბაძე—„ქართული დარბაზის ინტერიერი“.

27 აპრილს მოსმენილ იქნება: ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ ვ. ბერიძის მოხსენება—„ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიიდან“, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ღოღობერიძის— „Методы использования. для строительства в сейсмических районах Грузии местного булыжного камня,“ დოცენტ ციციშვილისა—„თემის გახსნის საკითხი მხატვრულ კერამიკაში“.

28 აპრილის საბოლოო სხდომაზე მოხსენებას წაიკითხავენ: ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი დ. ჯანელიძე — „ირაკლი გამრეკელის შემოქმედება“, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ფირცხელაური — „მაიოლიკის ტექნიკა მხატვრულ კერამიკაში“ და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ყიფშიძე — „არქიტექტურული კომპოზიციების საკითხისათვის“.

ფეხბურთი

გუშინ ლ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდები.

მატჩი მოიგეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 4:1.

თეატრებში

25 აპრილს: ოპერისა და ბალეტის — „ბორის გოდუნოვი“ (ა. პიროგოვის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „ჰამლეტი“ (მე-5 სერიის მე-10 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოძღვარი“; **გრიბოედოვის სახელობის** — „ლიკურგის კანონი“ (მე-3 აბ. მე-5 სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „არსენა ოძელაშვილი“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „კომბლე“ (პირველი აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „სიმწიფის მოწმობა“ (73-ე აბ. 6 ს.); **თოჯინების ქართული** — „ლომჭა დარუბანი“ (11, 7 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ა. წ. 25 აპრილს, საღამოს 7 ს. 30 წ. მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ვოროშილოვის სახელობის კლუბში შედგება **საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მე-4 პლენუმი**

დღის წესრიგი:

1. საკავშირო პროფსაბჭოს 9/1-50 წ. გადაწყვეტილების შესახებ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მე-4 პლენუმის შედეგები (მომხსენებელი ამხ. ს. გ. კობალაძე).
2. 1949 წლის პროფბიუჯეტის შესრულების და 1950 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი ამხ. მ. დ. კლდიაშვილი).
3. 1949 წ. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის შესრულების და 1950 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ვ. ი. გურგენიძე).

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლა-ათწლედი

აცხადებს 1930-51 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას შემდეგ განყოფილებებზე: 1. საორკესტრო: ა) სიმებიანი დარგი — ვიოლინო, ჩელო და კონტრაბასი, ბ) სასულე დარგი — ფაგოტი, ჰობოი, ვალტორნა, ტრომბონი, ფლეიტა, საყვირი.

2. ვოკალური, 3. საგუნდო-სადირიჟორო.

ვიოლინოსა და ჩელოს სპეციალობაზე მიიღებიან ბავშვები 7-8 წლის ასაკიდან. ვოკალურზე, საგუნდო-სადირიჟორო და სასულე დარგებზე მიიღებიან ახალგაზრდები 15-16 წლის ასაკიდან, რომელთაც აქვთ განათლება არანაკლებ 7 კლასისა.

განცხადებები მიიღება ა. წ. 20 აპრილიდან ყოველდღე, დღის 1-დან 5 საათამდე. მუსიკალური ათწლედის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქ. № 8, ტელეფონი № 3-86-44).

მისაღები გამოცდები ვიოლინოსა და ჩელოს სპეციალობაზე 20-დან 26 მაისამდე.

ვოკალურზე, საგუნდო-სადირიჟორო და სასულე განყოფილებაზე 20-დან 28 აგვისტომდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების, წლოვანების, ჯანმრთელობის ცნობა, ავტობიოგრაფია და 3 ფოტოსურათი.

რაიონებში შერჩეულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ბინით, კვებითა და ტანსაცმლით.

დაწვრილებითი ცნობები მიიღება მუსიკალური ათწლედის სამდივნოში.

აღრიცხვის მუშაკთა კადრების მომზადების სამმართველოს საქართველოს სასწავლო კომბინატი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის საწარმო-დაწესებულებებთან სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მოანგარიშეების, ბუხჰალტრებისა და უფროსი ბუხჰალტრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ხელშეკრულებათა დადება გრძელდება.

ცნობები მიიღება საქართველოს სასწავლო კომბინატში, ძერჟინსკის ქ. № 22, დილის 9 საათიდან დღის 5-30 საათამდე. ტელეფონი № 3-31-01.

მოქალაქე **ალექსანდრე ლეონის-ძე ბელბუხიძე**, მცხოვრები მარჯანიშვილის ქ. № 33, აღძრა საქმე სოფელ წალკაში მცხოვრებ მოქალაქე **ირინე ვლადიმერის ასულ სავინსკაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვერა ვიქტორის ასულმა მიქაძემ**, მცხოვრებმა 8 მარტის ქ. № 22, აღძრა საქმე ზუგდიდის შესახვევ № 5 მცხოვრებ მოქალაქე **შალვა ონისიმეს-ძე მიქაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

ზ. გალუსტოვი, ვ. ჯანელიძე, ა. ალიევი, გ. ბადრიევი, მ. მენთეშაშვილი, მ. ხორბალაძე, ე. ტოვსტიკი, ე. ხათენაძე თანაგრძნობას უცხადებენ ივანე დვალს მისი მამის **ლუარსაბ ალექსის-ძე დვალის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ელენე, შვილები იოლი, ივერი, ცოლისდა ქეთო გვარამაძე იუწყებიან **იოლა არტემის-ძე მაისურაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-IV, 8 ს. გამოსვენება 27-IV, 5½ ს. აკოპიანის, 5.

პართენ და სერგო ჯიქია ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ ეგნატეს-ძე ქაჯაიას** გარდაცვალებას.

გ. აბაზაძე, შ. ურუშაძე, ა. ლითანიშვილი, მ. ჩიჯავაძე, ს. ნერსესოვი, ქ. ძნელაძე, ლ. ჯანაშია, შ. შენგელია, თ. მთვარელიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ შოთა კალანდაძეს მისი მეუღლის **ელენეს** გარდაცვალების გამო.

მ. მდინარაძე, თ. ერქომაშვილი, ქ. სამსონია, შ. სიხარულიძე, ე. დონაძე, ე. აბაშმაძე, ა. ერქომაშვილი, ექ. ორაგველიძე, ს. ხომერიკი, ი. ორაგველიძე თანაგრძნობას უცხადებენ დოცენტ ვარლამ ქაჯაიას მისი მამის **ნიკოლოზ ეგნატეს-ძე ქაჯაიას** გარდაცვალების გამო.

დები ალათი და გალიტო, სიძე დიმიტრი დოლიძე ოჯახით, დისწული შერმადინ სიხარულიძე შვილებით იუწყებიან **ნიკო გიორგის-ძე ჯიბლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-IV, 8 ს. გამოსვენება 27-IV, 5 ს. ჯავახიშვილის ჩიხი, 3-ა.

მ. ელიზბარაშვილი, ლ. მესარკიშვილი, კ. გოცირიძე, ი. ნიჟარაძე, ვ. ნაცვლიშვილი, გ. კობრავა, ტ. სტეპანიანი, ვ. ჭანიშვილი, ა. კეპულაძე იუწყებიან მ. ი. უგრეხელიძის მამის **იასონ უგრეხელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IV, ს. ბობოთში (ტყიბულის რაიონი).

მეუღლე ელენე, შვილები ზურაბ, ალბერტი, ციური, ცოლისძმა კოლია დავითაიძე ოჯახით იუწყებიან **ფილიმონ სოფრომის-ძე გვიმრაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-IV, 8 ს. გამოსვენება 27-IV, 6 ს. საბჭოს, 255.

ბიცოლა ნატალია, შვილები შურა, ვახტანგ, ირაკლი, რძლები ევგენია, ანია ჩიტაძეები იუწყებიან **ელენე დავითის ასულ ჩიტაძე-კალანდაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-IV, 5 ს. კლარა ცეტკინის, 118.

ა. ერმიშევა, რ. ქადაგიშვილი, ა. მასხულია, რ. ქარციევაძე, ჯ. მხეიძე, დ. ზაის-გულოვი თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ ქსენია ელიაევას მისი დედის **მარიამ ელიაევას** გარდაცვალების გამო.

სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის V კურსის V ჯგუფის სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ ბეატრისა ქაჯაიას მისი მამის **ილია ქაჯაიას** გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე, ნინო, ლამარა, ნათელა ჩხეტიანები თანაგრძნობას უცხადებენ ილარიონ, გიგი და შოთა კოპალიანებს **ცაცუ კოპალიანის** გარდაცვალების გამო.

სამტრედიის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მედიცინის მუშაკები იუწყებიან საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის **ილია როსტომის-ძე ქაჯაიას** გარდაცვალებას.

დედა ნინო, ძმა კოლია, რძალი ნინო, ძმისწული გულიკო კალანდარიშვილები, და ნანა, სიძე მიშა შვილებით იუწყებიან **მარიამ კონსტანტინეს ასულ კალანდარიშვილი-მელითაურის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-IV, 6 ს. ხეთაგუროვის, 40.

თბილისის ქალაქის ლომბარდის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ალექსანდრე ხუციშვილს მისი დედის **მარიამ გრიგოლის ასულ ხუციშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობისა და თესლბრუნვის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვლადიმერ მელითაურს მისი მეუღლის მარიამ კალანდარიშვილი-მელითაურის გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02085